www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 22 ნოემბერი, 2013 წელი. | №3413 (220) | ფასი 50 თეთრი

პარლამენტარები ახალ მინისტრთა კაბინეტს აფასებენ

ახლად დანიშნული პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის პერსპექტივებს, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ასევე უმცირესობის წევრები აფასებენ. ფრაქცია „ქართული ოცნება - თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანის თქმით, მთავრობის ყველაზე უკეთესი შემფასებელი ის ერთი წელია, რაც მათ მთავრობაში დაჰყვეს. როგორც პარლამენტარი ამბობს, თითოეულ სფეროში მნიშვნელოვანი გარღვევა და პროგრესია. **წარმატებები ეხება, როგორც სამართალდამცავ სფეროს, ასევე ეკონომიკურ ბლოკს. რეალობა არის ის, რომ დღეს საქართველოში გაცილებით უფრო მეტი ადამიანია დასაქმებული, გაცილებით უფრო მეტ ადამიანს აქვს ჯანდაცვის უზრუნველყოფა, გაცილებით უფრო მეტმა გლეხმა დაამუშავა საკუთარი მიწა,“** - თქვა ჩიქოვანმა.

ირაკლი ჩიქოვანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ მთავრობაში წარმოდგენილია ის გუნდია, რომელიც ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა შეკრა. დეპუტატი დარწმუნებულია, რომ მთავრობა ეფექტიანად იმუშავებს.

უმრავლესობის წევრი ცალკე აფასებს ახალ შინაგან საქმეთა მინისტრ ლექსო ჩიკაიძეს. როგორც ჩიქოვანი ამბობს, ჭიკაიძეს, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, პოლიციაში მუშაობის საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

პოლიტიკაში მოღვაწეობის პოსტ-სკრიპტუმი

ბიძინა ივანიშვილი ღია წერილს ავრცელებს

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ავრცელებს ღია წერილს სახელწოდებით - „პოსტსკრიპტუმი“, რომელშიც აცხადებს, რომ კულუარებიდან ქვეყნის მართვას არ აპირებს.

„ამ წერილით იმ ერთადერთ კითხვას მინდა გავცე პასუხი, რომელიც პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ჩემს განცხადებას მოჰყვა. ქართული, ევროპული და ამერიკული საზოგადოების ერთ ნაწილს გაუჩნდა კითხვა - ხომ არ ვაპირებ კულუარულად ვმართო ქვეყანა.

ბევრი აბსურდული ბრალდება ისმოდა ჩემ მიმართ მაშინაც, როდესაც პოლიტიკაში შემოვედი. რას არ მაბრალებდნენ - კრემლის აგენტობით დაწყებული, საარჩევნოდ მაცივრების დარიგებით დამთავრებული. აღარაფერს ვამბობ ისეთ სიცრუეზე, თითქოს პოლიტიკაში საკუთარი ქონების გადასარჩენად მოვედი ან დიდი ჰესების ხელში ჩაგდება მინდოდა.

და ახლა, როცა უკვე პოლიტიკიდან წავედი, მინდა, ვუპასუხო იმ ბოლო აბსურდს, თითქოს კულუარებიდან მინდა ვმართო ქვეყანა და გავლენა მოვახდინო ხელისუფლებაზე. და როცა გავლენაზე მიანიშნებენ, სამწუხაროდ, მხოლოდ უარყოფით კონტექსტს გულისხმობენ.

მთელი ჩემი ცხოვრებით, მთელი ჩემი ბიოგრაფიით მე დავამტკიცე, რომ უკადრისი არასოდეს არაფერი ჩამიდენია.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

მაკკეინი: „სამართლიანობის აღდგენამ დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპები არ უნდა დააზიანოს„

ვაშინგტონში მარშალის ფონდში გამართულ კონფერენციაზე საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას რამდენიმე საათის განმავლობაში განიხილავდნენ. შეხვედრას სენატორი ჯონ მაკკეინი, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ერიკ რუბინი, ამერიკელი და ევროპელი ანალიტიკოსები ესწრებოდნენ.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ აშშ-ში საქართველოს ყოფილი ელჩი თემურ იაკობაშვილი, ასევე თბილისიდან მიწვეულები ეკონომიკის ყოფილი მინისტრი კახა ბენდუქიძე და პოლიტოლოგი გია ნოდია.

კონფერენცია სენატორმა ჯონ მაკკენმა გახსნა. მისი შეფასებით, საქართველოში ერთი დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებიდან მეორისთვის ძალაუფლების გადაცემა ბევრისთვის სამაგალითოა. სენატორმა წინა მთავრობის დამსახურებების შესახებ ისაუბრა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ სააკაშვილის ადმინისტრაციას შეცდომებიც ჰქონდა. **„არ შეიძლება, ითქვას, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი მთავრობა ყოველთვის საუკეთესოები იყვნენ. ჩვენ მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს ვაღიარებთ. ვარდების რევოლუციიდან 10 წლის შემდეგ ნათელია, რომ ქართველმა ხალხმა ცვლილებებისთვის კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. ცხადია, ახალი მთავრობის მიმართ მოლოდინი ისეთია, როგორც არასდროს. საქართველოს ბევრი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევები კვლავ რჩება.**

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

რადაში „ტიმოშენკოს მკურნალობის„ ექვსივე კანონპროექტი ჩავარდა

მთავრობამ კი ასოცირების ხელშეკრულების მზადება შეაჩერა

ივა შილაკაძე

უკრაინის პრეზიდენტი და მმართველი პარტია მზად არ არიან ექს-პრემიერ იულია ტიმოშენკოს გერმანიაში სამკურნალოდ გაშვებისთვის და არც ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების ხელმოწერისთვის. ეს შეიძლება, გაურკვეველი და საკმაოდ დიდი ხნით გადაიდოს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი		1.6643⇓
1 ევრო		2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა		2.5933⇓
1 თურქული ლირა		0.8622⇓
100 რუსული რუბლი		5.0433⇓
თბილისი		12°C - 7°C
ქუთაისი		14°C - 9°C
ზუგდიდი		15°C - 9°C
ბათუმი		15°C - 9°C
ნავთობი	3.19	+0.00 +0.16%
გაზი	3.58	+0.11 +3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80 -0.56%
ხორბალი	868.50	+12.25 +1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

სამოასთან ბორჯღალოსანთა საბრძოლო რაზმი ცნობილია

სამოასთან ნოემბრის სარაგბო ტესტ-მატჩების მესამე დასკვნით შეხვედრამდე ბორჯღალოსანთა ახალზელანდიელმა დამრიგებელმა 48 საათით ადრე საქართველოს ნაკრების შემადგენლობა გაახმოვანა. აშშ-ის ნაკრებთან თამაშისგან განსხვავებით, ჰეიგის საბრძოლო რაზმში ოთხი ცვლილებაა, აქედან სამი შერკინების ხაზში.

გაგრძელება
მე-<None> გვერდზე

წინ წიგნიერების წელი გველის

გამომცემლობა «დიოგენე» ახალ მასშტაბურ პროექტს იწყებს

ია ვეკუა

საზოგადოებრივ ტრანსპორტში, კაფეებში, მოსაცდელ დარბაზებსა თუ სკვერებში ხშირად ნახავთ მობილურ ტელეფონებსა და აიპოდებში თავჩარგულ ხალხს, მაგრამ ძალიან იშვიათად წააწყდებით ადამიანს წიგნით ხელში ანუ მკითხველს. ეს მარტივი დაკვირვება ჩვენს საზოგადოებაში წიგნიერების ხარისხის ერთ-ერთ საზომად შეგვიძლია გამოვიყენოთ და სულაც არ გაგვიკვირდეს, რომ წიგნის კითხვისადმი ინტერესის გაზრდისთვის ქვეყანაში ღონისძიებების სერიის ჩატარებაა საჭირო. სწორედ ამას ემსახურება გამომცემლობა «დიოგენეს» ახალი ინიციატივა, პროექტი «2014 - წიგნის წელი», რომელიც მომავალი წლის დადგომისთანავე ამოქმედდება, მანამდე კი მოსამზადებელი პროცესი მიმდინარეობს.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

საკონსტიტუციო ცვლილებების გართულებული პროცედურები პარლამენტის რეგლამენტშიც აისახება

კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელების გართულებული პროცედურები პარლამენტის რეგლამენტით ზუსტდება. პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ძალაში შევიდა 2011 წელს მიღებული საკონსტიტუციო ნორმა, რომლის თანახმად, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, 2/3-ის ნაცვლად, უკვე პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეოთხედი ანუ, სულ მცირე, 113 ხმა დასჭირდება.

კვორუმის გაზრდასთან ერთად, გართულდა კონსტიტუციური პროექტის დამტკიცების პროცედურაც. კერძოდ, თუკი აქამდე შესაძლებელი იყო საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის ორი კვირის განმავლობაში განხილვა და დამტკიცება, დღეიდან ეს ორ თანმიმდევრულ სესიაზე, სულ ცოტა, სამი თვის ინტერვალით უნდა მოხდეს.

სწორედ ეს პროცედურა ზუსტდება რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტით, რომელიც პარლამენტს განსახილველად უკვე წარედგინა. კერძოდ, ინიცირებული პროექტის თანახმად, საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტი პირველი და მეორე მოსმენით ერთსა და იმავე სესიაზე განიხილება და მიიღება, ხოლო მესამე მოსმენით შეიძლება განიხილონ და მიიღონ პარლამენტის მომდევნო სესიაზე - მეორე მოსმენით მიღებიდან სამი თვის შემდეგ.

მმართველმა კოალიციამ კონსტიტუციის გადასინჯვის ძველი პროცედურების ძალაში დატოვება სცადა და პარლამენტში შესაბამისი კანონპროექტიც წარადგინა, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ კატეგორიულად უარყოფითი პოზიციის გამო, პროექტის გატანა ვერ მოხერხდა.

პარლამენტარები ახალ მინისტრთა კაბინეტს აფასებენ

პირველი გვერდიდან

დარწმუნებული ვარ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი, თავის გუნდთან ერთად, შეძლებს სისტემის განვითარებას იმ მიმართულებით, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა დაიწყო,“ - აღნიშნავს ჩიქოვანი.

ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ წევრი თინა ხიდაშელი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ამოქმედებულ საკონსტიტუციო ცვლილებებზე ამახვილებს ყურადღებას. ხიდაშელის შეფასებით, მოქმედი პრემიერის ხელში დიდი ძალაუფლებაა თავმოყრილი. **„კონსტიტუციის მიხედვით, აქამდე სუპერმენი პრეზიდენტი გვყავდა და ახლა სუპერმენი პრემიერი გვყავს. კიდევ კარგი, მოვახერხეთ და რაღაც ნაწილში კონსტიტუციის დებულებები ცოტათი გავაუმჯობესეთ, თუმცა ის კარგისგან ძალიან შორსაა. კონსტიტუციის მოდელი ჯერ კიდევ ძალიან მახინჯია, მაგრამ ყველაზე არადემოკრატიულ ნაწილში ჩვენ ის გავასწორეთ. მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ერთ რანგში სუპერმენი იყო, თავისთვის იმზადებდა ადგილს, რომ სხვა რანგშიც სუპერმენი ყოფილიყო,“** - ამბობს ხიდაშელი.

დეპუტატი პარლამენტის დადგენილების საფუძველზე შექმნილი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შესახებ საუბრობს, რომელიც, ხიდაშელის თქმით, ერთხელ და სამუდამოდ დაასრულებს 1995 წელს დაწყებულ საქმეს. **„ისეთ კონსტიტუციას დავტოვებთ, რომელიც საქართველოში სუპერმენებს აღარ გააჩენს,“** - დასძენს თინა ხიდაშელი.

ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში გადაცემა «სუბიექტურ აზრში“ კი თინა ხიდაშელს ლექსო ჭიკაიძის საქმიანობის შესახებაც ჰკითხეს. როგორც ხიდაშელი ამბობს, კოალიცია «ქართული ოცნების“ ამომრჩევლებს უფლება აქვთ, იცოდნენ, რას აკეთებდა დღევანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე.

მე მქონდა ეს კითხვა და პასუხი მივიღე არა როგორც ამომრჩეველმა, არამედ როგორც პარლამენტის წევრმა, რომელმაც ხმა მივეცი ამ მთავრობას,“ - ამბობს ხიდაშელი და შემხვედრ კითხვას პასუხობს, - **მე ლექსო ჭიკაიძისთვის ხმა არ მიმიცია. ჩვენ ხმა მივეცით ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობას, ჩვენ ნდობა გამოვუცხადეთ პრემიერ-მინისტრს. პოლიტიკურად ირაკლი ღარიბაშვილს ვენდობი. იმას ვენდობი, რომ ირაკლი ღარიბაშვილი დღეიდან მთავრობაზე პასუხისმგებელია. იმ შემთხვევაში, თუ ჭიკაიძე ამ თანამდებობაზე არ გაამართლებს, პასუხისმგებელი ირაკლი ღარიბაშვილი იქნება.“**

ღარიბაშვილის მინისტრთა კაბინეტის შეფასებისას საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გიორგი ვაშაძემ აღნიშნა, რომ მთავრობას ეკონომიკური ხედვა არ გააჩნია.

„ვერ ვნახეთ, როგორ გაიზრდება ეკონომიკა, როგორ დასაქმდება ხალხი. ვერც ერთ გამოწვევაზე ვერანაირი ადეკვატური პასუხი ვერ მივიღეთ. საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპი მართლაც შემცირებულია. ბიუჯეტში 650 მილიონი ლარის ოდენობით გარღვევაა. უმუშევრობა იზრდება და ამას ძალიან ქმედითი ღონისძიებები სჭირდება. სამწუხაროდ, მთავრობა ამ ღონისძიებებს არ მიმართავს,“ - ამბობს ვაშაძე.

უმცირესობის წევრ დავით საყვარელიძის შეფასებით, მთავრობა პოლიტიკურ ნარცისიზმშია. როგორც დეპუტატი ამბობს, მინისტრთა კაბინეტს სურს, ხალხს დააჯეროს, რომ ყველაფერი კარგად არის, თავისი უგზოუკვლოდ დაკარგული დაპირებები კი დაავიწყდა.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე გოკა გაბაშვილის შეფასებით კი, ეს არის იგივე მთავრობა, რომელმაც ერთ წელიწადში ბიუჯეტი 1 მილიარდი ლარით გაარღვია და საქართველოს ეკონომიკის ზრდა შეაჩერა.

საკუთარი ინფორმაცია

მთავარი პროკურორი კადრებით იწყებს

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გუშინ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მთავარი პროკურორის პოსტზე ოთარ ფარცხალაძის კანდიდატურა წარუდგინა.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამოქმედებული ცვლილების თანახმად, საქართველოს მთავარ პროკურორს, იუსტიციის მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს (ცვლილებების ძალაში შესვლამდე მთავარი პროკურორის თანამდებობაზე კანდიდატს საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავდა.)

ირაკლი ღარიბაშვილმა თეა წულუკიანის მოთხოვნას ხელი მოაწერა და ოთარ ფარცხალაძე გუშინ მთავარი პროკურორის რანგში მუშაობას შეუდგა.

ფარცხალაძე მთავარ პროკურატურაში გარკვეულ საკადრო ცვლილებებს არ გამორიცხავს. მისი შეფასებით, უწყების თანამშრომელთა უმრავლესობა პროფესიონალია, თუმცა ძლიერი და ერთიანი პროფესიული გუნდის ჩამოყალიბებაა საჭირო.

ოთარ ფარცხალაძემ გუშინვე გაავრცელა პირველი ოფიციალური განცხადება, სადაც პრემიერ-მინისტრს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ძალისხმევას პროკურატურის წინაშე არსებული რთული გამოწვევების დაძლევისკენ მიმართავს.

„საქართველოს პროკურატურამ გასული ერთი წლის განმავლობაში გარდამავალი პერიოდი გაიარა, რომელიც სირთულეებით და პრობლემებით გამოირჩეოდა. მათი ნაწილის დაძლევა მოხერხდა კიდეც, თუმცა ვფიქრობ, დღეს პროკურატურის წინაშე სხვა სახის და კიდევ უფრო რთული გამოწვევები დგას, რომელთა წარმატებით დაძლევისკენ იქნება მიმართული ჩემი მუშაობა და ძალისხმევა. პროკურატურის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად მიმაჩნია სტაბილური და თანმიმდევრულად განვითარებადი პროკურატურის სისტემის საბოლოოდ ჩამოყალიბება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ხარისხიანი და ეფექტური გამოძიების წარმოებას, კომპეტენტური საპროცესო ზედამხედველობის განხორციელებას, სასამართლო პროცესებზე პროკურორთა კვალიფიციურ გამოსვლას. ყოველივე ამის ერთადერთი მიზანი კი საქმეებზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაა,“ - აღნიშნა მთავარმა პროკურორმა.

ფარცხალაძის თქმით, აღნიშნული ამოცანების წარმატებით დასაძლევად საჭიროა ძლიერი და ერთიანი პროფესიული გუნდის ჩამოყალიბება და მათი თავდაუზოგავი მუშაობა, ხოლო მეორე მხრივ, სისტემის სწორი მართვა და ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება.

„ვფიქრობ, პროკურატურის მუშაკთა უმრავლესობა პროფესიონალია, თუმცა ცხადია, ამით არ გამოვრიცხავ გარკვეული საკადრო ცვლილებების განხორციელებას და სტრუქტურულ ოპტიმიზაციას, რომლის მიზანი სისტემის სრული გაჯანსაღება და მუშაობის გაუმჯობესება იქნება. პროკურატურაში ჩემი მუშაობის პერიოდში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული სფერო ასევე აუცილებლად იქნება ახალგაზრდა და პერსპექტიული კადრების მოზიდვის, მათი სტაჟირების ფარგლებში გადამზადების, საუკეთესოების დასაქმების და ამ სეგმენტის პროკურატურის ორგანოებში მუდმივი შემოდინების კუთხით მუშაობის შესამჩნევად გაძლიერება. ვფიქრობ, კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს მოქმედ პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლების, ტრეინინგების, სემინარებისა და პერიოდული ტესტირების სისტემა, რათა პროკურატურაში მიღწეულ იქნეს და შემდგომ შენარჩუნდეს სტაბილური და ერთიანი მაღალი სტანდარტის დონე,“ - აღნიშნა ოთარ ფარცხალაძემ.

მთავარი პროკურორის აზრით, უწყებაში შესაძლოა, თანამშრომელთა ე.წ შიდა შეფასების სისტემა დაინერგოს, რომელიც სხვადასხვა კრიტერიუმისგან იქნება შედგენილი.

„ეს, ერთი მხრივ, იქნება ჯანსაღი კონკურენციის და თითოეული პროკურორის მხრიდან საკუთარ თავზე სისტემატურად მუშაობის მზაობის საფუძველი, ხოლო, მეორე მხრივ, საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ კონკრეტული პროკურორების საქმიანობის ხარისხი, დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, რათა პირველ შემთხვევაში წარმატებული პროკურორების დაწინაურება თუ წახალისება მოხდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში - მათი მუშაობის დახვეწა-გამოსწორება,“ - განმარტა ფარცხალაძემ.

ახალი მთავარი პროკურორისთვის **სრული საკადრო თავისუფლების“** მიცემის მიზნით მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა.

„დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ახალი მთავარი პროკურორი დანიშნა. მიუხედავად იმისა, რომ „პროკურატურის შესახებ“ კანონი ასეთ შემთხვევებში არ ითვალისწინებს მთავარი პროკურორის მოადგილეთა უფლებამოსილების ავტომატურ შეწყვეტას, საჯარო სამსახურის ეთიკიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ უწყების ახალ ხელმძღვანელს უნდა მიეცეს სრული საკადრო თავისუფლება, რის გამოც მას დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის განცხადებით მივმართე,“ - აღნიშნულია ლაშა ნაცვლიშვილის განცხადებაში.

თანამდებობა დატოვა თბილისის პროკურორმა მაია მწარიაშვილმაც. ლაშა ნაცვლიშვილსგან განსხვავებით, მას შემცვლელი უკვე მოეძებნა და, გავრცელებული ინფორმაციით, თბილისის პროკურორის თანამდებობას მიხეილ შაყულაშვილი დაიკავებს.

მაია მწარიაშვილმა არჩილ კბილაშვილს გადადგომის შესახებ განცხადებით 20 ნოემბერს მიმართა, განცხადება გადადგომის შესახებ 21 ნოემბრიდან დაკმაყოფილდა.

მწარიაშვილმა თანამშრომლებს ერთად საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და თბილისის მომავალ პროკურორს და საქართველოს პროკურატურის ახალ ხელმძღვანელობას წარმატება უსურვა.

რაც შეეხება მიხეილ შაყულაშვილს, თბილისის პროკურორის თანამდებობაზე მის დანიშვნას მთავარ პროკურატურაში არც ადასტურებენ და არც უარყოფენ.

„აღნიშნულ ინფორმაციას ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ, ვიდრე ეს ოფიციალურად არ გაფორმდება,“ - განაცხადა მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა ხათუნა პაიჭაძემ.

მიხეილ შაყულაშვილი 2012 წლიდან დღემდე შიდა ქართლის საოლქო პროკურორის მოადგილედ მუშაობს. 2012 წლის არჩევნებამდე იგი შიდა ქართლში საქმიანობდა - იმ პერიოდში, როდესაც შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსად ოთარ ფარცხალაძე მუშაობდა.

თბილისის პროკურორის თანამდებობიდან მაია მწარიაშვილის გადადგომას საპარლამენტო უმცირესობის წევრი ზურაბ ჯაფარიძე გამოეხმაურა.

ჯაფარიძის განცხადებით, ირაკლი ღარიბაშვილი ძალაუფლების ყველა წერტილის გაკონტროლებას ცდილობს.

„მაღალი ალბათობით, სხვა კადრების ირაკლი ღარიბაშვილის კადრებით ჩანაცვლება ხდება. არ ვიცი, კონკრეტულად ვისი კადრები იყო პროკურატურაში - ეს შეიძლება, კბილაშვილის მიერ დატოვებული კადრები იყო, შეიძლება, ნაცვლიშვილის კადრებია, მაგრამ, როგორც ჩანს, ახალი პრემიერ-მინისტრი ცდილობს, ძალაუფლების ყველა წერტილი გააკონტროლოს, მათ შორის პროკურატურაც,“ - აღნიშნა ზურაბ ჯაფარიძემ.

მისივე თქმით, პროკურატურა უნდა იყოს სტრუქტურა, რომელიც შსს-ს ფუნქციონირებასაც გააკონტროლებს და **„როდესაც შსს-შიც და პროკურატურაშიც პრემიერის კადრები გვეყოლება, ეს კონტროლი, მინიმუმ, შესუსტებული იქნება.“**

ზურაბ ჯაფარიძის აღნიშნულ განცხადებაზე კომენტარი გააკეთა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა თინა ხიდაშელმა.

მისი თქმით, თბილისის პროკურორის თანამდებობიდან მაია მწარიაშვილის გადადგომა ბუნებრივი პროცესია და ასე მოიქცეოდა ნებისმიერი ადამიანი, ვინც სტრუქტურას პატივს სცემს.

ხიდაშელის განმარტებით, როდესაც ახალი მთავარი პროკურორი მოდის, მას საშუალება უნდა მიეცეს, გუნდი თავად დააკომპლექტოს, ისევე როგორც ეს ნებისმიერ სამინისტროში ხდება.

აქამდე ოპოზიციისგან მესმოდა, რომ ღარიბაშვილი ბიძინა ივანიშვილის კადრი იყო და ქვეყანაში ყველაფერი ქართუს“ საფუძველზე კომპლექტდებოდა.

ახლა გავიგეთ, რომ ქვეყანაში ყველაფერს ღარიბაშვილი აკომპლექტებს თავისი კადრებით, ოღონდ ვინ არიან ეს თავისი კადრები, გაუგებარია, რადგან უმცირესობა საკუთარ არგუმენტებში იკარგება,“ - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მაია მწარიაშვილის გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელმა კახა კოჟორიძემ. მისი თქმით, ნებისმიერი თანამდებობის მქონე პირს თავისი გუნდი სჭირდება.

„ამ შემთხვევაში ის, რომ მოადგილეები და მაღალი თანამდებობის მქონე პირები შეიცვალნენ, ჩემი აზრით, დიდ პრობლემას არ წამოადგენს, მით უმეტეს, როგორც ვიცი, მაია მწარიაშვილმა წასვლის შესახებ განცხადება თავად დაწერა და ის არ გაუთავისუფლებიათ.

თუმცა აქ მთავარია ის, რომ პროკურატურის თანამშრომლების სახით ძირითადი ბირთვი შენარჩუნებული იქნება, რადგან პროკურატურის კადრებში მუდმივი ცვლილება პროკურატურის ეფექტურ მუშაობაზე დადებით გავლენას არ იქონიებდა,“ - განაცხადა კახა კოჟორიძემ.

მისივე განცხადებით, ყველა ის პროკურორი, ვისაც სამსახურებრივი უფლებამოსილების პროცესში რაიმე დარღვევა არ აქვს, სამსახურში უნდა დარჩეს.

„თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტები, რომ ძალიან ბევრი მოქალაქე აპროტესტებს კონკრეტული პროკურორების სავარაუდო დარღვევებს და ხშირად ისმის პროტესტი, რომ მათი საქმე გამოსაძიებლად იმ პირებს ეწერებათ, რომლებიც გარკვეული პერიოდის წინ ამ მოქალაქეების საქმეში თავად იყვნენ სამართალდამრღვევები, ამიტომ ამ მოქალაქეებს არ აქვთ მოლოდინი იმისა, რომ მათ საქმეებს ეს ადამიანები ობიექტურად გამოიძიებენ,“ - აღნიშნა კახა კოჟორიძემ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ევროკავშირთან ურთიერთობები და ვილნიუსის სამიტი

გუშინ სასტუმრო «თბილისი მერიოტში», ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მხარდაჭერით, მედიის წარმომადგენლებისთვის სემინარი გაიმართა. სემინარის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მთავარმა მრჩეველმა ეკა სეფაშვილმა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა.

სემინარის მონაწილეებმა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მოისმინეს ინფორმაცია მიმდინარე წლის 28-29 ნოემბერს ვილნიუსში დაგეგმილი «აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის“ შესახებ. სემინარზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორიც არის ასოცირების შესახებ შეთანხმება და მისი ნაწილი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმება, ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP) და აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP); სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგი და საქართველოს მთავრობის სტრატეგია ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ 2014-2017 წლებისთვის.

სემინარი აქტიური დისკუსიის რეჟიმში წარიმართა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მედიის შეკითხვებს, რომლებიც, ძირითადად, ვილნიუსის სამიტის საკითხებს, განსაკუთრებით კი ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირების მნიშვნელობასა და ზოგადად შეთანხმების ტექნიკურ დეტალებს ეხებოდა, ამომწურავი პასუხები გასცეს.

საკუთარი ინფორმაცია

მაკკეინი: „სამართლიანობის აღდგენამ დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპები არ უნდა დააზიანოს„

პირველი გვერდიდან

ამ დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების მიმართულებით ბევრი რამ არის გასაკეთებელი,“ - ამბობს ჯონ მაკკეინი.

სენატორი ყურადღებას ასევე ამახვილებს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების პატიმრობაში ყოფნის საკითხზე. მაკკეინის შეფასებით, საქართველოში ბოლოდროინდელი მოვლენები ისეთი არ არის, როგორსაც ქართველი ხალხი იმსახურებდა. მისი აზრით, მთავრობის ზოგიერთი ყოფილი წევრის დაკავება და გასამართლება პოლიტიკურად მოტივირებულად გამოიყურება. **„სამართლიანობა უნდა აღდგეს და კანონი დაცული იყოს, თუმცა სამართლიანობის აღდგენამ დემოკრატია და კანონის უზენაესობა უნდა გააძლიეროს და ეს პრინციპები არ დააზიანოს,“** - ამბობს ჯონ მაკკეინი.

კარნეგის ცენტრის ანალიტიკოსმა თომას დე ვაალმა, რომელიც საქართველოს საკითხებით აქტიურად ინტერესდება, შეხვედრაზე სამართლებრივ, კონსტიტუციურ საკითხებსა და ადამიანის უფლებებში ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის თომას ჰამარბერგის მოხსენებიდან რამდენიმე ციტატა წაიკითხა: **„მმართველი პარტია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტს, ასევე ცენტრალურ და ადგილობრივ ადმინისტრაციას აკონტროლებდა. მისი მმართველობის დროს მიწის ნაკვეთებისა და სხვა კერძო საკუთრების კონფისკაციის შემთხვევები ხდებოდა, რომელთა გასაჩივრების საშუალება მცირე იყო და ხშირად საერთოდ არ არსებობდა. სახელმწიფოს კერძო საკუთრება ზეწოლის ან შიშის საფუძველზე გადაეცემოდა. ელიტური კორუფციის შესახებ იყო საჩივრები.“**

თომას დე ვაალს კახა ბენდუქიძე გამოეხმაურა. მისი თქმით, დარწმუნებით საუბრობენ იმის შესახებ, რომ ელიტური კორუფცია არსებობს, მაგრამ თითქოს ის დამალულია. **„ეს იგივეა, ვთქვა, რომ ამ ოთახში ნიანგები არიან, მაგრამ როცა მიიხედავთ, გაქრებიანო. ახალი მთავრობა წელიწადზე მეტია, პროკურატურას, შსს-ს და ფინანსურ პოლიციას აკონტროლებს, აქამდე ელიტური კორუფციის მხოლოდ ორი შემთხვევაა გამოვლენილი. აქედან გამომდინარე, ორი საეარაუდო პასუხია - ელიტური კორუფცია ან არ არსებობდა, ან ახალი მთავრობის შსს და ფინანსური პოლიცია იმდენად სუსტები არიან, რომ მტკიცებულებებს ვერ პოულობენ,“** - აღნიშნავს კახა ბენდუქიძე.

ერიკ რუბინი ყურადღებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულ ურთიერთობებზე ამახვილებს. **„აშშ მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას და ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირებას. ეს ეროვნული მნიშვნელობის საკითხია,“** - მიიჩნევს რუბინი. მისივე შეფასებით, საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც საქართველოში ჩატარდა, ყველაზე თავისუფალი და სამართლიანი იყო (ბალტიისპირეთის ქვეყნებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში), რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ჩატარებულა. როგორც რუბინი ამბობს, ეს მიღწევა ყველა ქართველის დამსახურებაა.

ერიკ რუბინი უკრაინის თემატიკასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს პატიმრობაში ყოფნა ბრიუსელთან კიევის ურთიერთობის გაღრმავებას ხელს უშლის.

თემურ იაკობაშვილმა აშშ-ს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის დაპატიმრების საკითხზე რეაგირება სთხოვა. იაკობაშვილის თქმით, არავინ სვამს კითხვას იმის შესახებ, რატომ დაიწყო მთავრობამ მერაბიშვილის საქმის გამოძიება, არამედ საუბარია იმაზე, რომ ციხეში ზის პიროვნება, რომელიც ქვეყნიდან არ გარბის და პასუხისმგებლობას თავს არ არიდებს. **„თავისუფალი არჩევნების ჩატარების ზეიმისას პრეზიდენტობის პოტენციური კანდიდატი ვანო მერაბიშვილი ციხეში იჯდა. არ მგონია, ამით აშშ ხელს უწყობდეს დემოკრატიას. ქართველები მხოლოდ ერთ გზავნილს ხედავენ - თუ საკმარისად გაბედული ხარ, რომ ფუნქციური ინსტიტუტების მშენებლობას და დასავლური ღირებულებების პოპულარიზაციას ხელს შეუწყობ, უნდა იცოდე, რომ როდესაც ძალაუფლებას დაკარგავ და ციხეში მოხვდები, შეერთებული შტატები შენს დასახმარებლად არ მოვა,“** - აღნიშნავს თემურ იაკობაშვილი.

საკუთარი ინფორმაცია

ზურაბ ჭიაბერაშვილი: ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა ხორციელდება

ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა, სადაც მის და „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივან ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესის შესახებ ისაუბრა.

ჭიაბერაშვილის განცხადებით, ე.წ. „დასაქმების საქმეზე“ უკვე ჩატარებულმა ათმა სასამართლო პროცესმა გამოავლინა, რომ ამ პროცესს პოლიტიკური სახე აქვს და პროკურატურა პოლიტიკური მოტივებით სარგებლობს.

მისივე თქმით, 3969 მოწმიდან ამ დროისთვის 40 მოწმეა დაკითხული და არც ერთი მათგანი იმ გარემოებებზე არ საუბრობს, რაც ჭიაბერაშვილის და მერაბიშვილის ბრალეულობას დაადასტურებდა. ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ვარაუდობს, რომ მოწმეებზე ზეწოლა ხორციელდება.

„პროკურატურა დაკითხვას ისე აწარმოებს, რომ მოწმეები ცუდად ხდებიან და ზოგჯერ მოსამართლე იძულებული ხდება, პროცესი შეაჩეროს. ერთი მოწმის ცუდად გახდომას მოჰყვა ის, რომ გარეთ მომლოდინე ოთხი მოწმე სასამართლოდან საერთოდ წავიდა.

მიგვაჩნია, რომ ამ ფორმით 3969 მოწმის დაკითხვა საქმეს აბსურდამდე მიიყვანს. მოწმეების ჩვენებები არაფრისმთქმელია და ხშირ შემთხვევაში, თუ ისინი ცუდად არ გახდნენ, მათი დაკითხვა 10-15 წუთის განმავლობაში მიმდინარეობს.

ერთ-ერთმა მოწმემ მარტვილიდან განაცხადა, რომ სასამართლო პროცესამდე რამდენიმე დღით ადრე პროკურატურაში დაიბარეს და პროცესისთვის ფსიქოლოგიურად შეამზადეს. პროკურატურა ცდილობს, ისე წაიყვანოს საქმე, რომ ჩემი და ვანო მერაბიშვილის ბრალი გამოიკვეთოს,“ - განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

მისივე თქმით, ე.წ. „დასაქმების საქმეზე“ 22 ნოემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნულ სასამართლო პროცესს ვანო მერაბიშვილიც დაესწრება.

„ვალდებული ვარ, სხდომებზე ვიარო, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამიჭერენ. ჩემი ინფორმაციით, აღნიშნულ პროცესს ვანო მერაბიშვილიც დაესწრება,“ - თქვა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ 26 მაისის მოვლენების გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ «ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის მიმართ პოლიტიკური დევნა ხორციელდება.

თემა, რომელსაც მინდა შევეხო, ეს არის თბილისში ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ მიმდინარე პროცესი 2011 წლის 26 მაისის შესახებ. პროკურატურამ წინა სასამართლო სხდომაზე საქმიდან იმ დოკუმენტის ამოღება მოითხოვა, რომელიც თავდაპირველად თავად ჩადო საქმეში. ეს დოკუმენტი მომზადებულია ძალიან ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომელიც შსს-სთან დღესაც თანამშრომლობს - 2013 წელს ირაკლი ღარიბაშვილის მინისტრობის პირობებში.

ეს დოკუმენტი საკვანძო ფუნქციას ასრულებს იმისთვის, რომ სასამართლო სრულად გაირკვეს 26 მაისის მოვლენებში და დაადგინოს, რამდენად სწორად დაგეგმა შსს-მ 26 მაისს განხორციელებული ოპერაცია. პროკურატურის მოთხოვნა დენსუსის“ მიერ მომზადებული დოკუმენტის საქმიდან ამოღების შესახებ, იმაზე მიუთითებს, რომ ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა ხორციელდება,“ - განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი განახლდა

საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი განახლდა. President.gov.ge მოიცავს ინფორმაციას პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ გამართული ოფიციალური შეხვედრების შესახებ. ასევე, ვებგვერდზე განთავსებულია გიორგი მარგველაშვილის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები და ბიოგრაფიული მონაცემები.

პრეზიდენტის ბიოგრაფიული ცნობების თანახმად, გიორგი მარგველაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს პრეზიდენტად 2013 წლის 27 ოქტომბერს. „პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მთავრობის ყოფილი ვიცე-პრემიერი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი მარგველაშვილი მტკიცე დემოკრატი და რეფორმატორია, რომელმაც გამოაცოცხლა ქვეყნის განათლების სისტემა მრავალწლიანი უგულებელყოფის შემდეგ. 2013 წლის მაისში, მაშინ როდესაც ის არ წარმოადგენდა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, მმართველმა კოალიციამ „ქართული ოცნებამ“ ის დაასახელა პრეზიდენტობის კანდიდატად და საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა 62,18 პროცენტით.

რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ბიოგრაფიის ამ განყოფილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს 44 წლის პრეზიდენტი დაუოჯახებელია.

„გიორგი მარგველაშვილი არის 44 წლის, დაუოჯახებელი. ჰყავს 20 წლის ქალიშვილი ანა მარგველაშვილი, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტია. მისი მეგობარი ქალი მაკა ჩიჩუა მხატვარი და მსახიობია. თავისუფალ დროს გიორგი მარგველაშვილი უთმობს ფეხით სიარულს, ცხენოსნობას და მასპინძლობს მეგობრებს თავის დუშეთის სახლში,“ - აღნიშნულია პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კი საიტის „ისტორიის“ განყოფილებაში გადაინაცვლა, რომელშიც იგი ზვიად გამსახურდიას და ედუარდ შევარდნაძის შემდეგ არის მოხსენებული და მითითებულია, რომ იგი ქვეყნის სათავეში 2004-2013 წლებში იდგა.

თინა ხიდაშელი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს მხარს არ დაუჭერს

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების არსებულ ვარიანტს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი წევრი თინა ხიდაშელი მხარს არ დაუჭერს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თინა ხიდაშელმა განუცხადა, კულტურული მემკვიდრეობის კანონმდებლობა დასახვეწია, მაგრამ არა ზოგადი დებულებებით. მისი თქმით, იგი აცნობიერებს პრობლემას და ეთანხმება ეკონომიკის მინისტრს, თუმცა ზოგადი დებულებების ჩადება კანონში, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებ კონკრეტულ ჩინოვნიკს ხელს გაუხსნის, თინა ხიდაშელისთვის მიუღებელია.

„ამ ფორმულირებით, როგორითაც კანონპროექტი დღეს არის წარმოდგენილი, მე მას მხარს ვერ დავუჭერ, მაგრამ პრობლემას ვაცნობიერებ,“ - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მისივე ინფორმაციით, ამ საკითხზე ჯგუფი მუშაობს, რომელიც, როგორც ხიდაშელი იმედოვნებს, გაცილებით უფრო კომპრომისული ვარიანტით შევა პარლამენტში.

ეკონომიკის სამინისტროს ინიცირებით პარლამენტში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონში ცვლილებათა პროექტი შევიდა, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევაში ძეგლის სტატუსის მოხსნის გამარტივებას ითვალისწინებს.

კარასინმა და აბაშიძემ ერთწლიანი დიალოგი შეაფასეს

პრაღაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგორი კარასინმა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებების ერთი წლის შედეგები შეაჯამეს.

ზურაბ აბაშიძის თქმით, მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშესახები პროგრესი ნამდვილად არის, თუმცა შეხვედრებზე, როგორც აბაშიძე დასძენს, წითელ ხაზებს მიღმა არსებული პრობლემები არ განიხილება: საქართველოს მთავრობისთვის წითელი ხაზები იმ პრინციპებზე გადის, რომლებიც ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს თავისუფალი არჩევანის საკითხებს ეხება. აბაშიძე ამბობს, რომ სასურველია, პროგრესი იყოს ჟენევის დისკუსიებშიც, რათა ეს პროგრესი გარკვეულწილად იქაც კონსტრუქციულ წინსვლად ითარგმნოს. **„ჩვენი მხრიდან ამისთვის ყველაფერი კეთდება. დავადასტურეთ, რომ საქართველოს პრემიერი და ახალი პრეზიდენტი ჩვენი დიალოგის გაგრძელებას მხარს უჭერენ,“** - აღნიშნავს ზურაბ აბაშიძე.

აბაშიძე განსაკუთრებით იმ უმნიშვნელოვანეს როლზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ამ დიალოგის დაწყებაში შეასრულა. ზურაბ აბაშიძის თქმით, ივანიშვილი ამ საქმეს პრობლემების განსაკუთრებული ღრმა წვდომითა და ტაქტით ხელმძღვანელობდა.

გრიგორი კარასინმა უპირველესად საქართველოს ახალი პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ რუსეთი წინასაარჩევნო კამპანიას ყურადღებით ადევნებდა თვალს. **ვფიქრობ, არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა,“** - შენიშნავს კარასინი. იგი რუსეთის შესახებ საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ გაკეთებულ პირველ განცხადებებს აფასებს. როგორც რუსმა დიპლომატმა თქვა, მარგველაშვილის პოზიცია რუსეთში პოზიტიურად მიიღეს. **ხშირ შემთხვევაში მარგველაშვილის განცხადებები თანხვედრია იმისა, რასაც რუსეთში ფიქრობენ,“** - ამბობს გრიგორი კარასინი, - **პრემიერ-მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილის დანიშვნაც მოსალოდნელი იყო, მისი პირველი განცხადებები ამტკიცებს, რომ ის რუსეთთან პოზიტიური და ჯანსაღი ურთიერთობების განვითარებისთვის არის განწყობილი.“**

რაც შეეხება პირველ პირებთან კონტაქტებს, როგორც კარასინი ამბობს, ამის შესახებ საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. მან ამჟამინდელ მიღწევებზე ისაუბრა: **ჩვენი დღევანდელი მოლაპარაკებები ცხადყოფს, რომ რუსეთსა და საქართველოში საზოგადოება უპირველესად ატმოსფეროს გაჯანსაღებას მიესალმება. გარდა ამისა, ხალხმა უფრო ხშირი ურთიერთობა დაიწყო. კიდევ ერთი საკითხი, რომელიც საუბრის თემა იყო, მრგვალი მაგიდების ფორმატის ორგანიზებას ეხება, სადაც პოლიტოლოგები და სტუდენტები აზრების გაცვლას შეძლებენ.“**

გრიგორი კარასინს არც ყოფილი ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებისთვის აუვლია გვერდი. **„მანიაკალური მტრობა, რომელსაც საქართველოს წინა მთავრობა აღვივებდა, უკან დარჩა,“** - თქვა კარასინმა. მას მიაჩნია, რომ მხარეებს წინ ელით კონსტრუქციული პერიოდი ერთობლივი გადაწყვეტილებების საძიებლად, რომლებიც ორივე მხარის ინტერესებს დაეფუძნება. **„ეს დაემყარება პატივისცემის წესებს, ხალხზე ზრუნვას, ჰუმანიტარულ კავშირებს, იმას, რომ გადავდგათ შემხვედრი ნაბიჯები, გადავწყვიტოთ ეკონომიკური და სოციალური საკითხები, ერთად მივიღოთ მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში. ერთი სიტყვით, უამრავი საკითხია,“** - აღნიშნა კარასინმა.

აბაშიძე და კარასინი მომავალი შეხვედრის გამართვას თებერვალში გეგმავენ.

საკუთარი ინფორმაცია

ამერიკა პაკისტანში საჰაერო იერიშებს აგრძელებს

პაკისტანის პოლიციის განცხადებით, ქვეყნის ჩრდილოდასავლეთით, სავარაუდოდ, ამერიკის მიერ განხორციელებული საჰაერო იერიშის შედეგად, სულ მცირე, 5 ადამიანი დაიღუპა. საჯაროდ პაკისტანი აცხადებს, რომ ამერიკის მიერ უპილოტო საფრენი აპარატიდან განხორციელებულ იერიშებს ეწინააღმდეგება, რასაც ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევად აფასებს. პოლიციის ოფიცერმა ფარიდ ხანმა განცხადა, რომ რაკეტები მედრესეს დაეცა, რასაც ორი მასწავლებელი და სამი მოსწავლე ემსხვერპლა. ერთი დღის წინ კი პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა სართაჯ აზიზმა განაცხადა, რომ ამერიკა მათ იერიშების შეწყვეტას დაჰპირდა, სანამ მთავრობა „თალიბანთან“ სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებას ცდილობს.

ამერიკამ და ავღანეთმა უსაფრთხოების ხელშეკრულების პროექტი შეათანხმეს

„როიტერის“ ცნობით, ოთხშაბათს ამერიკამ და ავღანეთმა უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების ძალიან მნიშვნელოვან პროექტზე მოახერხეს შეთანხმება, რაც 2014 წლის შემდეგ ავღანეთში ამერიკელი სამხედროების დარჩენას განსაზღვრავს. ახლა ამ პროექტს ავღანეთის უხუცესთა საბჭოზე განიხილავენ. საერთაშორისო კოალიციის ჯარები ავღანეთს 2014 წლის ბოლოს ტოვებენ.

შეთანხმების პროექტში, სხვა საკითხებთან ერთად, ამერიკელი სამხედროების მიერ კონტრტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობაზეც არის საუბარი. თუ ეს ხელშეკრულება ვერ გაფორმდება, ვაშინგტონი ავღანეთიდან 2014 წლის ბოლოს შენაერთებს მთლიანად გაიყვანს და ავღანეთის უსაფრთხოების ძალებს და არმიას „თალიბანის“ წინააღმდეგ მოქმედება მათი დახმარების გარეშე მოუწევთ. ასეთმა სცენარმა ერაყში მაინცდამაინც კარგი შედეგი არ გამოიღო.

ხელშეკრულება ძალაში 2015 წლის 1 იანვრიდან შევა და 2024 წლის ბოლომდე იმოქმედებს. ერთ-ერთი ამერიკელი მაღალჩინოსნის თქმით, 2014 წლის შემდეგ ავღანეთში დასატოვებელი ამერიკელი სამხედროების რაოდენობა ჯერ საბოლოოდ არ არის განსაზღვრული. ამერიკამ ავღანეთში ჯარები „აღ ქაიდას“ მიერ ამერიკაზე 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული თავდასხმების შემდეგ შეიყვანა.

საუდის არაბეთის განცხადებით, ერაყის საზღვართან 6 ჭურვი ჩამოვარდა

ხუთშაბათს საუდის არაბეთმა განაცხადა, რომ ერაყის საზღვართან ახლოს 6 ჭურვი ჩამოვარდა. „როიტერის“ ცნობით, აღნიშნულის შედეგად არავინ დაშავებულა. რაკეტები იმ რეგიონთან ახლოს ჩამოცვივდა, სადაც ნავთობს მოიპოვებენ. საუდის არაბეთი ნავთობის უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანაა მსოფლიოში. საზღვრის დაცვის უწყების წარმომადგენლის, გენერალ მოჰამედ ალ-გამდის თქმით, ისინი მეზობელ ქვეყნებს უკავშირდებიან იმის დასადგენად, საიდან ჩამოცვივდა ჭურვები, რათა შესაფერისი ზომები მიიღონ.

სისი ეგვიპტის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ გამორიცხავს

ეგვიპტის არმიის გენერალი და თავდაცვის მინისტრი აბდელ ფატაჰ ალ-სისი, რომელმაც გასულ ზაფხულს მოქმედი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი გადააყენა, მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ გამორიცხავს. ქუვეითის ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში სისიმ არჩევნებში მონაწილეობის საკითხზე აღნიშნა: „ვნახავთ, მანამდე რა მოხდება.“ ცოტა ხნის წინ ქვეყანაში კვლავ გაიმართა მურსის მხარდამჭერების აქცია, რომლის მონაწილეებიც აბდელ ფატაჰ ალ-სისის აფრთხილებდნენ, პრეზიდენტობაზე არც ეფიქრა.

თურქმა და რუსმა დიპლომატებმა „ჟენევა 2“-ის მონაწილეების შესახებ იმსჯელეს

ახლო აღმოსავლეთში რუსეთის სპეციალურმა წარმომადგენელმა მიხაილ ბოგდანოვმა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ფირუდინ სინირლიოღლუმ მოსკოვში სირიის შესახებ საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეების შესახებ იმსჯელეს. ამ ინფორმაციას რუსეთის დიპლომატიური უწყება ავრცელებს. „მხარეებმა სირიის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკაში არსებული ვითარების შესახებ იმსჯელეს. ორივე მხარემ ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია სირიაში სისხლისღვრის სწრაფად შეწყვეტა. ამ კონტექსტში ჟენევის კონფერენციასა და მის მონაწილეებზეც იმსჯელეს, რომელთაც რეალური წვლილის შეტანა შეუძლიათ ამ პრობლემის მოგვარებაში,“ - ნათქვაია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. სირიის შესახებ კონფერენციის მთავარი ორგანიზატორები ამერიკა და რუსეთი არიან. კონფერენციის ზუსტი თარიღი ამ დრომდე არ არის განსაზღვრული.

პუტინი და ობამა ერთმანეთს სოჭში, „დიდი რვიანის“ სამიტზე შეხვდებიან

ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას რუსეთში ან რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ამერიკაში ვიზიტის საკითხი ამ დრომდე არ დასმულა. ლიდერები მომავალ ზაფხულს სოჭში, „დიდი რვანის“ სამიტის ფარგლებში შეხვდებიან ერთმანეთს, თუმცა სხვა კონტაქტებიც გამორიცხული არ არის, - ამის შესახებ ჟურნალისტებს პუტინის თანაშემწემ იური უშაკოვმა განუცხადა. „ამ დროისთვის დეტალურად განიხილება პრეზიდენტ ობამას მონაწილეობა „დიდი რვიანის“ სამიტში, რომელიც სოჭში ივნისის დასაწყისში გაიმართება. თუმცა, ეს სხვა, მათ შორის, სატელეფონო კონტაქტებს არ გამორიცხავს,“ - განაცხადა უშაკოვმა.

მოამზადა თამთა კახაძემ

რადაში „ტიმოშენკოს მკურნალობის„ ექვსივე კანონპროექტი ჩავარდა

პირველი გვერდიდან

მმართველი ძალისთვის საკუთარი კორპორატიული ინტერესები ქვეყნის ინტერესებსა და მომავალზე მაღლა დგას. ამას უკრაინის ოპოზიცია ღიად აცხადებს და ამ შემთხვევაში ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის პოზიციას გამოხატავს. სოციოლოგიური გამოკითხვებით, უკრაინის ევროპისკენ სვლას მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტი მხარს უჭერს.

21 ნოემბერს, ხუთშაბათს, ფაქტობრივად, უკანასკნელი შესაძლებლობა იყო, რომ უკრაინის უმაღლეს რადას სამი დარჩენილი კანონი მიეღო, რასაც ამ ქვეყნისგან ევროკავშირი მოითხოვს. ესენია: კანონი (მოკლედ) საარჩევნო სისტემის სრულყოფის შესახებ, პროკურატურის შესახებ და პატიმრების უცხოეთში სამკურნალოდ გაშვების შესახებ. ამ უკანასკნელს არაოფიციალურად «ტიმოშენკოს კანონს“ უწოდებენ. ამ საკითხზე უკრაინის პარლამენტში სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ მომზადებული 6 კანონპროექტია შესული და ყველას სხვადასხვა სახელები აქვს. ცხადია, განსხვავდება შინაარსიც, ოპოზიციის ვარიანტები უფრო ლიბერალურია, ხელისუფლების - უფრო მკაცრი.

«24 საათი“ წლების განმავლობაში დაწვრილებით წერს ტიმოშენკოს და უკრაინის ევროინტეგრაციის თემებზე. ბოლო თვეებში კი ამ საკითხებს ლამის კვირაში ორი სამი სტატია ეძღვნება. შესაბამისად, ახლა დეტალებზე აღარ შევჩერდებით. ოთხშაბათს რადაში შექმნილმა სპეციალურმა ინტერფრაქციულმა კომისიამ, რომელსაც ტიმოშენკოს კანონპროექტების ერთმანეთთან შეჯერება და ორივე მხარისთვის მისაღები ვარიანტის შექმნა ევალებოდა, კვლავ «ვერ იმუშავა» ნაყოფიერად და ტექსტი ვერ შეათანხმა. ამ სხდომას ევროპარლამენტის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელები - პოლონეთის ექსპრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკი და ევროპარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე პეტ კოკსიც ესწრებოდნენ, თუმცა ისინი ცალკე მდგომი მაგიდიდან დისკუსიას აკვირდებოდნენ და საკითხის განხილვაში არ ერეოდნენ. ოპოზიციამ სამართალდამცავი საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფის კომიტეტის სხდომაზე მმართველ «რეგიონების პარტიას“ ოფიციალურად შესთავაზა ტიმოშენკოს და პროკურატურების კანონპროექტების «გაცვლა“. კერძოდ, კომიტეტის თავმჯდომარემ ანდრეი კოჟემიაკინმა ოპოზიციის სახელით მოხსნა ყველა შესწორება, რომელიც კი შეტანილი იყო პროკურატურის კანონზე და დათანხმდა მის მიღებას ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი რედაქციით. ამ წინადადების მიზანი იყო დროის დაზოგვა და მუშაობის გაგრძელება «ტიმოშენკოს კანონპროექტზე“, რადგან კომიტეტის წევრების დიდი ნაწილი ინტერფრაქციულ შემთანხმებელ ჯგუფშიც არის წარმოდგენილი. კომიტეტმა, ხმის უმრავლესობით, ამ წინადადებაზეც უარი თქვა.

ხუთშაბათს უმაღლესი რადას პლენარული სხდომის დაწყებისთანავე ოპოზიციურმა ფრაქციებმა განაცხადეს, რომ მზად იყვნენ, მხარი დაეჭირათ ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი ვარიანტისთვის სამივე კანონზე. არჩევნების და პროკურატურის შესახებ კანონები პირველი მოსმენით უკვე მიღებულიც იყო 8 ნოემბერს. ამისკენ ოპოზიციას თვით იულია ტიმოშენკომაც მოუწოდა. ტიმოშენკომ ყველა ოპოზიციურ ფრაქციას სთხოვა, უკრაინის ევროინტეგრაციის საკითხის გადასაწყვეტად სამივე კანონპროექტისთვის მიეცათ ხმა, მათ შორის ის თანახმა იყო, «პატიმრების მკურნალობის“ კანონპროექტი ნებისმიერი რედაქციით გასულიყო. ფრაქციის სხდომაზე შესაბამისი წერილი მისმა ადვოკატმა, დეპუტატმა სერგეი ვლასენკომ წაიკითხა, ხოლო პლენარულ სხდომაზე განცხადება «ბატკივშჩინას“ ლიდერმა არსენი იაცენიუკმა გააკეთა.

ოპოზიციამ სიტყვა შეასრულა. კენჭისყრაზე პირველი დადგა კანონი «არჩევნების ჩასატარებლად კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით უკრაინის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ“. მას კენჭი უყარეს სახელმწიფო მშენებლობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის დავით ჟვანიას შესავალი სიტყვისთანავე, შესწორებების განხილვის გარეშე და საკონსტიტუციო უმრავლესობით მიიღეს. კანონპროექტს მხარი დაუჭირა სხდომაზე დარეგისტრირებული 423 დეპუტატიდან 365-მა ანუ, ფაქტობრივად, ყველა ფრაქციამ თითქმის მთლიანად, კომუნისტების გარდა. კომპარტიის ფრაქცია გუშინ სრულ უმოქმედობაში იყო და მის არც ერთ წევრს არც ერთი კანონისთვს ხმა არ მიუცია.

შემდეგ დეპუტატები «ტიმოშენკოს საკითხის“ განხილვაზე გადავიდნენ. ინტერფრაქციულ ჯგუფს ტექსტი შეთანხმებული არ ჰქონდა, მაგრამ გუშინ მისი განხილვა პლენარული სხდომის დღის წესრიგში იყო. სურვილის შემთხვევაში, კანონის მიღება მაინც შეიძლებოდა პირდაპირ სხდომაზე, მით უმეტეს, რომ ოპოზიცია ყველფერზე მიდიოდა. კენჭისყრაზე მიყოლებით დააყენეს ექვსივე წარმოდგენილი კანონპროექტი და მმართველმა «რეგიონების პარტიამ» ყველა ჩააგდო. ოპოზიციური ფრაქციები «ბატკივშჩინა“, ვიტალი კლიჩკოს «უდარი“ და «თავისუფლება“ ექვსივე კანონპროექტს ხმას აძლევდნენ სრული შემადგენლობით, მათ მხარს უჭერდა 23-28 დამოუკიდებელი დეპუტატი (ზოგ კანონპროექტს მეტი, ზოგს - ნაკლები) და მხოლოდ ერთი დეპუტატი მმართველი «რეგიონების პარტიიდან“. შესაბამისად, საკითხი გუშინ ჩავარდა. ამას მოჰყვა ოპოზიციის დეპუტატების ხმამაღალი შეძახილები «განბა!“ (სირხცვილი!), რაც ასევე დამახასიათებელია უკრაინის პარლამენტისთვის.

ცხადია, ფორმალურად კიდევ შეიძლება, უკრაინის უმაღლესი რადას რიგგარეშე სხდომა დაინიშნოს და «ტიმოშენკოს საკითხი“ ვილნიუსის სამიტამდე როგორმე გადაწყდეს, მაგრამ ამის რეალური იმედი აღარ არის. ხელისუფლებას, სურვილის შემთხვევაში, ამ საქმის მოგვარება აქამდეც თავისუფლად შეეძლო.

მაშინვე გაკეთდა კომენტარები და განცხადებები სესიაზეც და დარბაზის გარეთაც, მედიისთვის. ნაციონალისტური ფრაქცია «თავისუფლების“ ლიდერმა ოლეგ ტიაგნიბოკმა ევროკავშირს მოუწოდა, «ტიმოშენკოს საკითხის“ მოუგვარებლობას ყურადღება არ მიაქციონ და უკრაინას ვილნიუსში ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებებზე ხელი მაინც მოუწერონ. რა სიტყვებით შეამკო ტიაგნიბოკმა მმართველი პარტია, ეს ალბათ ჩვენი მკითხველისთვისაც ადვილი წარმოსადგენია. პარტია «უდარის“ წარმომადგენელმა დეპუტატმა ირინა გერაშჩენკომ კი ევროპელ პარტნიორებს მოუწოდა: «არ შეუშვათ «რეგიონების პარტიის» წარმომადგენლები ევროკავშირში და დაე, მათ მხოლოდ საბაჟო კავშირის ქვეყნებში იმოგზაურონ».

«ბატკივშჩინას“ ლიდერმა არსენი იაცენიუკმა პარლამენტის თავმჯდომარე ვლადიმირ რიბაკს გადასცა იულია ტიმოშენკოს შეწყალების შესახებ ოპოზიციის მიერ ყოველი შემთხვევისთვის წინასწარ მომზადებული ბრძანების პროექტი იანუკოვიჩისთვის გადასაცემად. ოპოზიციამ პრეზიდენტს მოუწოდა, ნუ იმალება რადაში მის მიერ «შეთრეული“ დეპუტატების ზურგს უკან და საკითხი თვითონ გადაწყვიტოს. იაცენიუკმა იანუკოვიჩს ბრალი დასდო იმაში, რომ ის «ევროკავშირის გზაზე უკრაინის პროგრესს აჩერებს.“

მოგვიანებით კი უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაი აზაროვმა განაცხადა, რომ უკრაინა ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებზე მუშაობას დროებით აჩერებს. მისი სიტყვებით, ეს გადაწყვეტილება მიღებულია უკრაინის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რათა კიდევ ერთხელ შეაფასონ სიტუაცია და გადახედონ სავაჭრო კავშირების მდგომარეობას დსთ-ს სახელმწიფოებთან. ამას გარდა, მან განაცხადა, რომ ყველა ამ საკითხის ერთობლივად შესასწავლად სამმხრივი კომისია შეიქმნება: უკრაინის, ევროკავშირისა და რუსეთის მონაწილეობით. ასეთი კომისიის შექმნის იდეა ორიოდე კვირის წინ იანუკოვიჩმა წამოაყენა, მაგრამ მაშინ ის რუსეთმა უარყო. საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვის თქმით, ამ კომისიის მუშაობას აზრი არ ჰქონდა, რადგან უკრაინას არჩევანი გაკეთებული აქვს. გუშინ კი ამ კომისიაში მონაწილეობას პუტინი დათანხმდა, ოლონდ ისევ ევროკავშირთან ხელშეკრულებების გაფორმებამდე. პუტინის გუშინდელი სიტყვები ნაკლებად აგრესიული იყო. მან თქვა, რომ ეკონომიკურ საკითხებში უკრაინის ნებისმიერ არჩევანს პატივს სცემს და ეს რუსეთისთვის საფრთხედ არ მიაჩნია. მისი აზრით, რუსეთისთვის საფრთხის შემცველი მხოლოდ უკრაინის ნატოში შესვლა იქნება.

ევროკავშირის მხრიდან გუშინ ამ კომისიის შესახებ კომენტარი არ გაკეთებულა. უკრაინის ამ ბოლო გადაწყვეტილების კომენტარზე მოსკოვშიც უარი თქვეს იმ მიზეზით, რომ ეს უკრაინის საშინაო საქმეა. უკრაინაში კი აზაროვიც და «რეგიონების პარტიის» წარმომადგენლებიც რადაში აცხდებენ, რომ არც ვილნიუსის სამიტისთვის მზადება და არც ტიმოშენკოს გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგიდან არ იხსნება. «რეგიონალები» ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობის გაგრძელებას უჭერენ მხარს.

ამ ყველაფრის შემდეგ კვლავ გვრჩება შთაბეჭდილება, რაზეც წინა სტატიებშიც ვწერდით, რომ უკრაინის ხელისუფლება ორივე მხარესთან აგრძელებს საიდუმლო ვაჭრობას და გარკვეული გარანტიების (მათ შორის ფინანსურის) მიღებას ცდილობს. ორ სკამზე ჯდომის ეს პოლიტიკა კი უსასრულოდ ნამდვილად ვერ გაგრძელდება. ეს ვარაუდი პირდაპირ დაადასტურა უკრაინის ვიცე-პრემიერმა იური ბოიკომ. მისი სიტყვებით, ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობაზე მოლაპარაკებები იქამდე შეჩერდება, სანამ არ გადაწყდება საბაჟო კავშირისა და დსთ-ს სახელმწიფოებთან მოსალოდნელი სავაჭრო დანაკარგების კომპენსაციის საკითხი.

ირანსა და ექვსეულს შორის მოლაპარაკებები განახლდა

თამთა კახაძე

ოთხშაბათს ჟენევაში საერთაშორისო შუამავლების ექვსეულსა და ირანსა შორის ამ ქვეყნის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებები განახლდა. ექვსეულში გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუმდივი წევრი და გერმანია შედიან.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა შეხვედრის დაწყების წინ აღნიშნა, რომ არსებული განსხვავებები შედარებით შემცირებულია: „ეს დიდი ხნის განმავლობაში ირანისთვის საუკეთესო შანსია, რათა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა გადაჭრას.“

ირანს, ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის შეწყვეტის სანაცვლოდ, მკაცრი ეკონომიკური სანქციებს შემსუბუქებას სთავაზობენ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა კი იმედი გამოთქვა, რომ ეს მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება. ამერიკელი მთავარი მომლაპარაკებელი კი შეფასებებში შედარებით ფრთხილი აღმოჩნდა: „ვფიქრობ, ჩვენ შეთანხმების მიღწევა შეგვიძლია. თუმცა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამის მიღწევა რთული იქნება. ამის გაკეთება ადვილი რომ ყოფილიყო, მაშინ შეთანხმება დიდი ხნის მიღწეული იქნებოდა.“

„როიტერის“ ინფორმაციით, ოთხშაბათს დაწყებული მორიგი რაუნდი, სავარაუდოდ, პარასკევამდე გაგრძელდება. გუშინ, საღამოსთვისაც - ყოველ შემთხვევაში, გაზეთის გამოსვლის მომენტამდე, ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებებიდან არანაირი კონკრეტული ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა.

წინ წიგნიერების წელი გველის

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

წიგნიერების დონის ამაღლების აუცილებლობაზე ჩვენს ქვეყანაში ორჯერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც მოწმობს. 2006 და 2011 წლებში გამოცდების ეროვნული ცენტის მონაწილეობით წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS — Progress in International Reading Literacy Study) ჩატარდა. PIRLS 9-10 წლის მოზარდების მიერ წაკითხულის გააზრების უნარს და იმ ფაქტორებს იკვლევს, რომლებიც მოსწავლეთა კითხვის უნარის განვითარებასა და ზოგადად წიგნიერებაზე ახდენს გავლენას. 2011 წელს ჩატარებულ კვლევაში 45 ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველოში მცხოვრებ ბავშვებს საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ. მათი წიგნიერების საშუალო მაჩვენებელია 488, რაც PIRLS-ის სტანდარტული სკალის საშუალო მაჩვენებელს 12 ერთეულით ჩამორჩება. კარგი შედეგი გვაქვს იმ მხრივ, რომ 2006 წელს ჩატარებული კვლევის შედეგი 17 ერთეულითაა გაუმჯობესებული (45 ქვეყანას შორის 34-ე ადგილზე ვართ), ამ ტემპით კი საშუალო მაჩვენებელს მხოლოდ 16 წლის შემდეგ მივუახლოვდებით.

დაგვეთანხმებით ეს ძალიან დიდი დროა, ამიტომ პროცესის დაჩქარების ალტერნატიული გზების გამონახვა აუცილებელია, რასაც «დიოგენე» აპირებს კიდეც, თუმცა მანამდე საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვების ეტაპია გასავლელი. ეს ეტაპი საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის, განათლებისა და კულტურის მინისტრების სახელზე შედგენილ პეტიციაზე ხელის მოწერა გახლავთ, რომლის ტექსტსაც აქვე გაგაცნობთ: **საქართველოში მწიგნობრობის კულტურას თხუთმეტსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო კვლევების მიხედვით, დღეს ქვეყანაში წიგნიერების დონე საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. იმისათვის, რომ ვითარება გამოსწორდეს, აუცილებელია, შემუშავდეს გრძელვადიანი პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც ადგილობრივი საჭიროებები, ისე წიგნიერების განვითარების სფეროში დაგროვილი მსოფლიო გამოცდილება.**

ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკება ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობის ადმინისტრაციასთან, რომ 2017 წელს საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით იყოს წარმოდგენილი ამ უდიდეს ფორუმზე. ერთი მხრივ, ეს ფაქტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციას მსოფლიო კულტურულ პროცესში, მეორე მხრივ, ამით საქართველო იღებს ვალდებულებას, განავითაროს წიგნიერებასთან დაკავშირებული პროგრამები, ხელი შეუწყოს შესაბამის ინიციატივებს და მაქსიმალურად ჩაერთოს საერთაშორისო ღონისძიებებში.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში 2014 წლის წიგნიერების წლად გამოცხადება შესაძლებელს გახდის სამოქალაქო ინტერესის ფოკუსირებას განათლებისა და კულტურის საკითხებზე. ვიზიარებთ გამომცემლობა დიოგენეს ინიციატივას, რომ შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა განიხილონ წინადადება და მიიღონ გადაწყვეტილება 2014 წლის წიგნიერების წლად გამოცხადების შესახებ.

ამ პეტიციაზე ხელის მოწერა ნებისმიერ მსურველს შეუძლია, უფრო იოლი ხერხი კი ონლაინ პეტიციაზე ხელმოწერაა, რომელსაც მისამართზე petitions24.com/2014 ნახავთ.

თამარ ლებანიძე, გამომცემლობა დიოგენეს ხელმძღვანელი: «ზოგჯერ მსგავსი ინიციატივების განხორციელებისას გარკვეულ წინააღმდეგობებს ვაწყდებით. ხელმოწერების შეგროვება იმისთვისაა აუცილებელი, რომ ხელისუფლებამ იცოდეს, რომ ეს არ გახლავთ მხოლოდ ერთი გამომცემლობის ან ინიციატორთა მცირე ჯგუფის სურვილი და რომ არსებობს საზოგადოების სერიოზული მზაობა. გარდა ამისა, საკუთარი ხელმოწერით ადამიანები მეტად იაზრებენ არსებულ ვითარებას და პროცესშიც უფრო აქტიურად ერთვებიან.»

პროექტის პრეზენტაცია გუშინ გაიმართა და გუშინვე გაფორმდა მემორანდუმი მასში ჩართულ ორგანიზაციებთან: «დიოგენე», ლიტერატურის მუზეუმი, ეროვნული ბიბლიოთეკა, წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა საზოგადოება, მწერლის სახლი, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, ჟურნალი «არილი», პენკლუბი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, «ბილაინი» და სხვები.

პროექტი მთელი მომავალი წლის განმავლობაში იმუშავებს და ამ დროის განმავლობაში არა ერთ ღონისძიების ჩატარებას ითვალისწინებს. პირველ რიგში, ეს იქნება თავად პროექტის ლოგოს კონკურსი, რასაც აქციებისა და სხვა და სხვა კონკურსების სერია მოჰყვება. პროექტში ჩართვა ნებისმიერ ორგანიზაციას შეუძლია, მთავარია ქვეყანაში წიგნიერების დონის ამაღლების სურვილი და კონკრეტული წინადადება ჰქონდეს.

დასაწყისში ნახსენები PIRLS-ის კვლევა 5 წელიწადში ერთხელ ტარდება, შემდეგი კვლევა 2015 წელს გველის და სწორედ მაშინ გამოჩნდება, რამდენად ქმედუნარიანი აღმოჩნდება აღნიშნული პროექტი. მისი წარმატება კი თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული.

რეგიონული ფესტივალი სამხატვრო აკადემიაში

თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, 18 დან 24 ნოემბრის ჩათვლით რეგიონალურ ფესტივალს მასპინძლობს. ფესტივალი ტარდება Colloquium IV, Florence 2014 - თანამშრომლობის ფარგლებში. რეგიონული ფესტივალის ფარგლებში ჩატარდება „Degree and Profession“, *D*ვირტუალურ ექსპო და საერთაშორისო კონფერენცია „Life Beyond Tourism,“ საერთაშორისო ვორქშოფი „Texture in the fashion“, Costume. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება სახელოვნებო მიმართულებები: ვიდეოარტი და ფოტოგრაფია, ვიზუალური და ციფრული ხელოვნება, სამოქალაქო არქიტექტურა, ფერწერა, გრაფიკა, მოდის დიზაინი, ტექსტილი, ხელოვნების ისტორია და თეორია, რესტავრაცია. ფესტივალის ორგანიზატორები არიან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მედიახელოვნების ფაკულტეტი, საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია.

„Degree& Pprofession „

ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მიეცემათ შანსი, წარმოადგინონ თავიანთი სადიპლომო პროექტები „SMART“ პრეზენტაციის სახით ინგლისურ ენაზე. ფესტივალის დახურვის ცერემონიაზე, ფესტივალის საერთაშორისო ბორდი გამოავლენს საუკეთესო პროექტებს და დააჯილდოებს პრიზებით.

ფესტივალის ფარგლებში ჩატარდება კონფერენციები, სადაც პროფესიონალები და კომპანიები ფესტივალის მონაწილეებს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მიღწევებს, გააცნობენ პროფესიულ სამყაროს და არსებულ შესაძლებლობებს. კომპანიები, უნივერსიტეტები და დეპარტამენტები გამოფენენ ინფორმაციას, პროდუქტს და სასწავლო პროექტებს.

ვირტუალური ექსპო

ვირტუალურ ექსპოში მონაწილე პროექტები, რომლებიც ამ გზით იქნებიან წარმოდგენილნი საერთაშორისო ასპარეზზე, დაჯილდოვდებიან საერთაშორისო სერტიფიკატებით. ინფორმაცია აიტვირთვება რომუალდო დელ ბიანკოს ფონდის საიტზე. www.fondazionedelbianco.org www.florence-expo.com

ასევე ჩატარდება საერთაშორისო სტუდენტური ვორქშოფი, , რომელზეც სტუდენტები პროფესორებთან ერთად იმუშავებენ ჯგუფებად მოცემულ თემებზე და ფესტივალის ბოლოს წარმოადგენენ ფინალურ „SMART“პრეზენტაციას.

პრიზები „SMART“ პრეზენტაციისათვის (საშემოსავლო გადასახადი გათვალისწინებულია)

პრიზები მოკლე პრეზენტაციისთვის.

გრანპრი - 800 ლარი 3 დღე ფლორენციის საერთაშორისო ფესტივალზე

I ადგილი - 400 ლარი

II ადგილი - 300 ლარი

III ადგილი - 250 ლარი

საერთაშორისო კონფერენციაში გამარჯვებული ორი მონაწილისათვის

5 დღით ფლორენციის საერთაშორისო ვორქშოპზე გამგზავრება და ცხოვრება.

პოლიტიკაში მოღვაწეობის პოსტ-სკრიპტუმი

პირველი გვერდიდან

ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი რუსეთში მომინია ყოფნა და საქმიანობა. ეს, მართლაც, ურთულესი პერიოდი იყო, ბიზნესი ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, ძალიან მოკლე დროში უამრავი საკუთრება გაიცა და ხშირად ეს უხეშ ფორმებსაც იღებდა. რთული იყო ასეთ ვითარებაში გამჭვირვალე და კანონიერი ბიზნესის კეთება. და მიუხედავად ამისა, ჩემი ბიზნესი იყო სრულიად სამაგალითო და გამჭვირვალე. ბევრს ეცადნენ, ბევრი ეძებეს ოპონენტებმა, მათ შორის უცხოელებმაც, მაგრამ ვერც ერთი შავი ლაქა ვერ იპოვეს ჩემს ბიზნესში. მე არათუ კანონი არ დამირღვევია არასდროს, კონტრაქტიც კი არ მომიშლია, მეტიც, სიტყვაც არ გამიტეხია.

ჩემი რუსეთში საქმიანობის 20-წლიან პერიოდზე ყველა კითხვას გავეცი პასუხი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან გამოცემაში - «ვედომოსტში“. ეს იყო ერთადერთი ინტერვიუ, რომელიც პოლიტიკაში მოსვლამდე მივეცი. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია, ნახოს და თავად დარწმუნდეს, როგორი რეპუტაცია მქონდა რუსეთში და ბიზნესწრეებში. ჩემი ცხოვრების მთავარი ხელწერა არის აბსოლუტური გამჭვირვალობა. ასე ვიყავი ბიზნესში და ასეთივე ვიყავი პოლიტიკაშიც. როდესაც 2003 წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ახალი ხელისუფლება მოვიდა, მე მათ კონსულტაციას ვუწევდი მათივე თხოვნით, 3 წლის განმავლობაში სააკაშვილს მრავალჯერ შევხვდი - ცხადია, ყოველთვის მისივე სურვილით. ვერც სააკაშვილი და ვერც მისი გუნდის რომელიმე წევრი ვერ გაიხსენებს ერთ შემთხვევასაც კი, როდესაც მე მათ რამე პირადი თხოვნით მივმართე ან პირადი ინტერესების გამო შევხვდი. მე მათ ყოველთვის ისეთ რჩევებს ვაძლევდი, რომლებიც ჩემს ქვეყანას, ჩემს სახელმწიფოს სჭირდებოდა და არა პირადად მე.

ჩემი ინიციატივით იმ ფონდს ვაფინანსებდი, რომელიც ორნახევარ წელზე მეტხანს მთელ მთავრობასა და პარლამენტს ხელფასებს უხდიდა, რათა ქვეყანა კორუფციის ჭაობიდან ამოსულიყო და ევროპული განვითარების გზას დადგომოდა.

რჩევებს ვაძლევდი მერაბიშვილსაც, ვეხმარებოდი პოლიციას პატრულის მანქანების ყიდვაში და არავითარ შემთხვევაში - იარაღის შეძენაში. ვეხმარებოდი ჯარს, ვაშენებდით ყაზარმებს, ვყიდულობდით ტანსაცმელს ჯარისკაცებისთვის. და იქაც მქონდა პრინციპული პოზიცია, რომ ამ დახმარებით არ ეყიდათ იარაღი.

მე არასდროს მიმიღია მონაწილეობა რომელიმე მინისტრის ან პრემიერ-მინისტრის დანიშვნაში. თავს ვარიდებდი და არ ვერეოდი ამ საქმეში. ანუ მაშინ, როდესაც არ ვიყავი საჯარო ფიგურა და მართლაც „კულუარებიდან“ მქონდა ურთიერთობა ხელისუფლების უმაღლეს წრეებთან, ფაქტია, რომ არ მომინდომებია „კულუარებიდან მართვა“.

პოლიტიკაში ორწლიანი მოღვაწეობისას ჩამოვაყალიბეთ გუნდი, რომელიც კარგად მიცნობს, უამრავი ადამიანი გავიცანი, უამრავს დავუმეგობრდი, ძალიან ბევრი ხშირად მაკრიტიკებს კიდეც, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ მე ორმაგი სტანდარტით ვცხოვრობ და ვმუშაობ. ერთ ეპიზოდსაც კი ვერ გაიხსენებს ვერავინ, რომ მე რაღაც კულუარულ თამაშებში ვერთვებოდი. პირიქით, ზოგჯერ ჩემივე გუნდის წევრები სწორედ „კულუარებში“ მაკრიტიკებდნენ პოლიტიკოსისთვის ზედმეტი გულახდილობისა და საჯაროობისთვის.

ნებისმიერი ჩვენი გუნდის წევრი, ნებისმიერი მინისტრი მაქსიმალურად თავისუფალი იყო, მე მათ არასოდეს თავს არ ვახვევდი არაფერს, მხოლოდ მსჯელობისა და საღი აზრის პატივისმცემელი ვარ. ასეთია ჩემი მუშაობის წესი. მე არასოდეს არ ვმართავ კულისებიდან, მე ამას არ ვაკადრებ საკუთარ ქვეყანას და საკუთარ გუნდს, რომელსაც უაღრესად დიდ პატივს ვცემ.

ამიერიდან მე ვიქნები საზოგადოების აქტიური წევრი, ჩემი საქმიანობა იქნება სრულიად გამჭვირვალე და, რა თქმა უნდა, მექნება გარკვეული გავლენაც. ამასთანავე, მე ამ გავლენას არათუ სათაკილოდ ვთვლი, არამედ ძალიანაც შევეცდები მის გაზრდას. სხვანაირად როგორ შეიძლება იყო სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრი?

ხელისუფლებაზე საზოგადოების გავლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც, პირველ რიგში, პოლიტიკური სისტემის სიჯანსაღის ანუ დემოკრატიის მანიშნებელია, რადგან ეს გავლენა ხალხის, საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას და მასთან უკუკავშირს გულისხმობს.

საბოლოოდ, საზოგადოება აქტიური მოქალაქეების, ინდივიდების კრებულია. ბუნებრივია, რომ მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მოქალაქის გავლენა პოლიტიკაზე, შესაბამისად, მაღალი იქნება. და თუ ეს მოქალაქე ყოფილი პოლიტიკოსია, როგორც ამ შემთხვევაში მე, მაშინ ეს წესი აღარ მუშაობს?! თუ მხოლოდ საქართველოში არ უნდა მუშაობდეს და საფრთხის შემცველად განიხილებოდეს ის, რაც აბსოლუტურად ნორმალურად ითვლება დემოკრატიულ ქვეყნებში?!

ადამიანის უფლებები, ევროპული ღირებულებები, ევროატლანტიკური სივრცისკენ სწრაფვა, ის, რომ ამერიკა უნდა იყოს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, ის, რომ აუცილებლად უნდა დავალაგოთ ჩვენს მეზობლებთან და, მათ შორის, რუსეთთანაც ურთიერთობა, ეს არის ჩემი ღირებულებები, და თუ ვინმე ამის წინააღმდეგია, ისინი ნამდვილად უნდა შფოთავდნენ, რადგან, დიახაც რომ, მე მოვახდენ გავლენას ამ მიმართულებით.

ამ ღირებულებებს რომ ვცემ პატივს და ერთგული ვარ მათი, ეს არაერთხელ განვაცხადე. მეტიც, კოალიციის დეკლარაციასაც მოვაწერე ხელი, რომელიც მთლიანად ამ ღირებულებებს ეფუძნება. ამ ღირებულებებს ვცემდი პატივს ყოველთვის და თუ ვინმე ფიქრობს, რომ დღეს, 57 წლის კაცი შევიცვლი ღირებულებებს, ასეთებისთვის პასუხის გაცემას არ ვაპირებ.

მე სხვა ინტერესი, გარდა ჩემი ქვეყნის წინსვლის და ევროპული განვითარებისა, არასოდეს მქონია. ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოში ბიზნესი არა მაქვს და ამას არც მომავალში ვაპირებ, და როგორ შეიძლება რამე სხვა მოტივი მამოძრავებდეს, გარდა ჩემი ქვეყნის სამსახურისა.

თუ შევძლებ და მართლაც მოვახდენ ევროპული მიმართულებით ქვეყნის წინსვლის საქმეში გავლენას ხელისუფლებაზე, ამას უნდა მიესალმებოდეს ყველა.

არც საჯარო მხარდაჭერას, არც რჩევებს დავამადლი და არც კრიტიკას მოვაკლებ მთავრობას, რომელიც ჩემს ხალხთან ერთად შევქმენი და რომელზეც პასუხისმგებლობა ავიღე.

მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა: ის, რომ პოლიტიკიდან წასული ლიდერები გავლენას ახდენენ ქვეყნის ცხოვრებასა და პოლიტიკაზე, ჩვეულებრივი ამბავია და მიღებული ტრადიციაა დემოკრატიულ ქვეყნებში. ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს ამისა, ბევრი პოლიტიკოსი შეგვიძლია გავიხსენოთ, რომელთა გავლენა პოლიტიკაზე ათეული წლებია, ნარჩუნდება და ეს არავის აფრთხობს.

ვფიქრობ, ჩემგან არ უნდა ესწავლებოდეთ ჩვენს დასავლელ მეგობრებს, რომ ასეთი ტიპის «Think Tank“-ის (ანალიტიკური ცენტრების) გავლენა პოლიტიკაზე, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმდენად მაღალია, რომ ამ «Brain Trust“-ების კეთილგანწყობისა და ნდობის მოპოვება მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებისგან დიდ დიპლომატიურ ძალისხმევას მოითხოვს და, ხშირ შემთხვევაში, მოქმედი ადმინისტრაციის კეთილგანწყობის მოპოვების ტოლფასია. ამ «Think Tank“-ის სათავეებთან კი, როგორც წესი, ყოფილი პოლიტიკოსები დგანან.

და მაინც, ყველაზე დიდი აბსურდი, რასაც მომაწერენ, არის ის, თითქოს მეშინია, თითქოს გავურბივარ პასუხიმგებლობას და ამიტომ მივდივარ პოლიტიკიდან. შეიძლება, არსებობდეს თანამდებობის დაკარგვის შიში. მაგრამ როდესაც მე ჩემი ნებით უარს ვაცხადებ თანამდებობაზე, რა შიშზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?

მე მაშინ არ შემშინებია, როდესაც უმძიმეს ვითარებაში მივიღე პოლიტიკაში შემოსვლის გადაწყვეტილება, როდესაც ჩვენს ქვეყანას ავტორიტარული რეჟიმის მრავალწლიანი მმართველობა ემუქრებოდა, როდესაც საზოგადოებაში სრული სასოწარკვეთილებისა და უპერსპექტივობის განცდა მეფობდა, როდესაც მთლიანად განადგურებული იყო ოპოზიციური ძალები, - სწორედ მაშინ დავდე სასწორზე მთელი ჩემი ცხოვრება, ჩემი ოჯახი, შვილების უსაფრთხოება და სამშობლოს გადარჩენის გადაწყვეტილება მივიღე.

მე მოვახერხე და გავაერთიანე პოლიტიკური ძალების საუკეთესო ნაწილი, ერთ მუშტად შევკარი საზოგადოება და ვაიძულე სააკაშვილის რეჟიმი, მშვიდობიანად, უსისხლოდ გადმოებარებინა ხელისუფლება. და ახლა, როდესაც ხელისუფლებაში ნამდვილი დემოკრატიული ძალები მოვიყვანე, თავად ხელისუფლების ზენიტში მყოფმა დავტოვე ხელისუფლება. ეს, ალბათ, ძნელი გასაგებია ბევრისთვის, რადგან ვერავინ დაასახელებს პოლიტიკოსისგან მსგავსი ნაბიჯის გადადგმის მაგალითს.

შეიძლება, სწორედ ეს აბნევს ვიღაცებს, რადგან ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისა თუ პოლიტიკური ლიდერისთვის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივაცია, ამოცანა და მიზანია ხელისუფლებაში მოსვლა, ქვეყნის მართვა და თავისი შეხედულებით სახელმწიფო საქმეების გაძღოლა.

მინდა, მივმართო ყველას - ნუ დავრჩებით თითქმის ზოგადსაკაცობრიო სტერეოტიპის ტყვეობაში, უნდა დავიჯეროთ, რომ შეიძლება ადამიანს ჰქონდეს ჭარბი სიმდიდრე და ჭარბი ძალაუფლება, მაგრამ გული და გონება მაინც სხვაგან მიუწევდეს, რადგან მისთვის კიდევ უფრო მაღალი ღირებულება არსებობს და ეს არის თავისუფალი სამშობლოს თავისუფალი მოქალაქეობა. ამ ოცნების ასრულებისთვის გახდა აუცილებელი ჩემი პოლიტიკაში დროებით მოსვლაც და ამასვე ემსახურება ჩემი პოლიტიკიდან წასვლაც. აი, ასე მარტივია სინამდვილეში ყველაფერი.“

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025196

შემსყიდველი	თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.11.2013 13:13
წინადადებების მიღება იწყება	25.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.11.2013 16:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	14490 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. ტექნიკურ დავალებაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	150 ლარი
გარანტიის ოდენობა	145 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025167

შემსყიდველი	შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი”
ტენდერის გამოცხადების თარიღი	20.11.2013 19:16
წინადადებების მიღება იწყება	25.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.11.2013 16:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	6800 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	30216110-სკანერები კომპიუტერისთვის, 30232110-ლაზერული პრინტერები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	სხვადასხვა, იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	68 ლარი
გარანტიის ოდენობა	68 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025170

შემსყიდველი	სოციალური მომსახურების სააგენტო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	20.11.2013 19:56
წინადადებების მიღება იწყება	25.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.11.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	3700 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.ტექ.დავალება
მოწოდების ვადა	იხ.ტექ.დავალება
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	30 ლარი
გარანტიის ოდენობა	37 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025168

შემსყიდველი	სოციალური მომსახურების სააგენტო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	20.11.2013 19:52
წინადადებების მიღება იწყება	25.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.11.2013 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	2600 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	34300000-ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	34300000-ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.ტექ.დავალება
მოწოდების ვადა	იხ.ტექ.დავალება
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	30 ლარი
გარანტიის ოდენობა	26 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

სამოასთან ბორჯღალოსანთა საბრძოლო რაზმი ცნობილია

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ტრავმებით გამოწვეული იძულებითი შესვენების შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა გიორგი შკინინი.

დღეს გუნდებს „მიხეილ მესხზე“ კაპიტნის ვარჯიშები აქვთ.

საქართველო VS სამოას „მიხეილ მესხი“ უმასპინძლებს. შეხვედრა 23 ნოემბერს 16:30 საათზე დაიწყება. მატჩზე დასასწრები ბილეთები იყიდება ყოველ დღე 11:00 საათიდან 18:00 საათამდე მიხეილ მესხის სახელობის (ლოკომოტივის) სტადიონის და დინამო არენას სალაროებში. ბილეთის ფასი კლავინდებურად 1 და 3 ლარს შეადგენს.

საქართველო - კანადის მატჩის მსგავსად, ბილეთების გაერკვეული ოდენობა კვლავ გაიყიდება ინტერნეტ პორტალზე www.hotsale.ge

საქართველო: 15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. თამაზ მჭედლიძე, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. გიორგი შკინინი, 10. ლაშა ხმალაძე, 9. გიორგი ბეგაძე; 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. ლევან ჩილაჩავა, 4. კონსტანტინე მიქაუტაძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. გიორგი თხილაიშვილი, 7. მამუკა გორგოძე (კოპ.), 8. გიორგი ჩხაიძე.

სათადარიგოები: 16. სიმონ მაისურაძე, 17. ზურაბ ჟვანია, 18. დავით ქუბრიაშვილი, 19. გიორგი ნემსაძე, 20. შალვა სუთიაშვილი, 21. ვაჟა ხუციშვილი, 22. თედო ზიბზიბაძე, 23. ბექა წიკლაური.

მთავარი მწვრთნელი: მილტონ ჰეიგი

სამოა: 15. ფაჰატოინა აუტანგავაია, 14. ალაპაატი ლეიუა, 13. ისაია ტუიფუა, 12. ჯონი ლეოტა, 11. ბრანდო ვაჰაულუ, 10. ტუსიატა პისი, 9. კაენ ფოტუალიჰი (კაპ.); 1. საკარია ტაულაფო, 2. ტიჰი პაულო, 3. ჯეიმს ჯონსთონი, 4. პიულა ფაასალელე. 5. ტეოფილო პაულო, 6. ოფისა ტრევირანუსი, 7. ჯეკ ლემი, 8. ფაიფილი ლევავე.

სათადარიგოები: 16. უეინ ოლე ავეი, 17. ვილიამუ აფატია, 18. ენთონი პერენისე, 24. ჯო ტეკორი, 20. ტაიასინა ტუიფუა, 21. ჯერემი სუჰა, 22. სინოტი სინოტი, 23. კენ პისი.

გრაიციარი და „დინამო“ გაიყარნენ

სლოვაკმა ნახევარმცველმა პეტერ გრაიციარმა თბილისის „დინამო“ დატოვა.

„დინამოს“ პრესსამსახურის ცნობით, კლუბი და ფეხბურთელი კონტრაქტის გაწყვეტაზე შეთანხმდნენ.

მიმდინარე წლის 7 ივლისს გრაიციარმა „დინამო არენაზე“ თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „დინამოს“ ამხანაგური მატჩის პირველ ტაიმში ტრავმა მიიღო. მას მუხლის წინა ჯვარედინი მყესი და მენისკი დაუზიანდა. ახლა გრაიციარი რეაბილიტაციის კურსს გადის და, ექიმების აზრით, სრულფასოვნად მარტიდან ივარჯიშებს.

იბრაჰიმოვიჩი „წლის ადამიანია“

პსჟ-სა და შვედეთის ნაკრების თავდამსხმელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ჟურნალ GQ-ს ვერსიით, საფრანგეთის „წლის ადამიანად“ დასახელდა. „წლის სპორტსმენი“ კი იბრაჰიმოვიჩის თანაგუნდელი ბლეზ მატუიდი გახდა.

გასულ სეზონში შვედმა „პარი სენ-ჟერმენს“ ჩემპიონობა მოუტანა. თავად კი 34 ტურში გატანილი 30 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა. იბრაჰიმოვიჩმა თავისი ბომბარდირული თვისებები სამშაბათს, მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევის ფლეი ოფში პორტუგალიის წინააღმდეგ დუბლითაც გამოავლინა, მაგრამ ბრაზილიის საგზური მეტოქე გუნდს დარჩა.

ფაჩულიას «პორტლენდთან» ორმაგ დუბლამდე მოხსნა დააკლდა

ზაზა ფაჩულიას გუნდი უფრო ხშირად აგებს. „მილუოკი ბაქსმა“ მორიგი მატჩი შინ, „პორტლენდ ბლეიზერსთან“, 82:91 წააგო. „ირმები“ ბოლო მეოთხედამდე არ ნებდებოდნენ, მაგრამ გაცილებით უკეთესი შედეგების მქონე პორტლენდელებმა თამაში ლოგიკურ შედეგამდე მიიყვანეს და მორიგი გამარჯვება მოიპოვეს.

ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 28,19 წუთი გაატარა. მილუოკელთა შემადგენლობაში 29 წუთზე მეტი არავის უთამაშია. ფაჩულიამ 10 ორქულიანიდან 4, ხოლო 4 საჯარიმოდან 3 ჩააგდო, 11 ქულა მოაგროვა და ორმაგ მოხსნამდე 2 მოხსნა დააკლდა. ზაზამ თამაში 11 ქულით, 8 მოხსნით, 1 ჩაჭრით და 1 დაფარებით დაასრულა.

2 მოგებითა და 8 მარცხით ფაჩულიას გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციაში ბოლო, მე-15 ადგილზეა. მომდევნო მატჩში, 22 ნოემბერს, „მილუოკი“ „ფილადელფიას“ დაუპირისპირდება.

ცინცაძის «დონეცკი» უკრაინის ჩემპიონატს წაუგებლად ლიდერობს

უკრაინულმა „დონეცკმა“, რომლის ღირსებას გიორგი ცინცაძე იცავს, ეროვნულ ჩემპიონატში მორიგი, რიგით მე-6 მატჩი მოიგო. დონეცკელები „გოვერლას“ ესტუმრნენ და ანგარიშით 69:63 დაამარცხეს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების გამთამაშებელი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, მოედანზე გატარებულ 17:49 წუთში კი 4 ქულა, 1 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. ცინცაძემ 4-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანი ააცილა, 4 შეცდომა დაუშვა, ამდენივე პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი ერთხელ დაჯარიმდნენ. დონეცკელთა შორის საუკეთესო იყო ამერიკელი მარკო კილინგსვორტი, რომელმაც 16 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა და ორმაგი დუბლი შეასრულა.

უკრაინის ჩემპიონატის მორიგ ტურში „დონეცკი“ 22 ნოემბერს ლვოვში „გალიჩინას“ დაუპირისპირდება. ცინცაძის გუნდი წაუგებლად ლიდერობს უკრაინის პირველობას.

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025171

შემსყიდველი	სოციალური მომსახურების სააგენტო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	20.11.2013 19:58
წინადადებების მიღება იწყება	25.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.11.2013 15:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.ტექ.დავალება
მოწოდების ვადა	იხ.ტექ.დავალება
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	20 ლარი
გარანტიის ოდენობა	10 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025173

შემსყიდველი	სსიპ "ტექნოლოგიური განვითარების ფონდი"
ტენდერის გამოცხადების თარიღი	20.11.2013 23:59
წინადადებების მიღება იწყება	07.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	12.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	5456616 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45234200-საბაგირო-სატრანსპორტო სისტემები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	21826 ლარი
გარანტიის ოდენობა	54566 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025172

შემსყიდველი	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	20.11.2013 20:21
წინადადებების მიღება იწყება	25.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.11.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	15870 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	50112000-მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	100 ლარი
გარანტიის ოდენობა	159 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025174

შემსყიდველი	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.11.2013 10:01
წინადადებების მიღება იწყება	25.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.11.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	990 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	30100000-საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	30100000-საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად
მოწოდების ვადა	2013 წლის 31 დეკემბრამდე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	10 ლარი
გარანტიის ოდენობა	10 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

ფორლანი და ურუგვაი მუნდიალზე მიდიან

მონტევიდეოს ლეგენდარულ სტადიონ „სენტენარიოზე“ (Centenario) ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო მონაწილეც გამოვლინდა. საუბარია ურუგვაის ნაკრებზე, რომელსაც მთავარ ტურნირზე მოსახვედრად ფლეი ოფი დასჭირდა. ფლეი ოფში კი პირველივე მატჩში მოამთავრეს საქმე - იორდანიას სტუმრად ხუთი უპასუხო გოლი გაუტანეს და განმეორებით შეხვედრას აზრი დაუკარგეს. მიუხედავად ამისა, „სენტენარიოს“ ტრიბუნები მაინც გაივსო. მიუხედავად ამისა, ოსკარ ტაბარესის გუნდი მოედანზე საბრძოლო შემადგენლობით გავიდა. ოღონდ, ამანში ჩატარებული მატჩისგან განსხვავებით, საკუთარ კედლებში, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე, ურუგვაის ნაკრებმა იორდანელებთან შეხვედრა ნულოვანი ფრით დაასრულა, რამაც წერტილი დაუსვა 2014-ის შესარჩევს. გამოვლინდა 32 ნაკრები.

ურუგვაელები მეთორმეტედ მონაწილეობენ მსოფლიო ჩემპიონატში. ისინი იმედოვნებენ, რომ 64 წლის შემდეგ ლეგენდარულ „მარაკანაზე“ ფინალში ითამაშებენ. მართალია, მათ ფავორიტთა შორის არ მოიხსენიებენ, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამხრეთ ამერიკის - „კოპა ამერიკის“ მოქმედი ჩემპიონები არიან.

2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე «სელესტე» დიეგო ფორლანმა მესამე ადგილისთვის მატჩამდე ფაქტობრივად მარტომ მიიყვანა, მაგრამ გერმანიასთან დამარცხდა.

დიეგო ფორლანი მუნდიალზე გასიადაც ითამაშებს. საამისოდ ორი კარგი მიზეზიც აქვს: პირველი - „ოქროს ბურთის“ დაცვა, რომელიც მას 2010 წლის სამხრეთ აფრიკის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობისთვის გადაეცა და მეორე - უნდა ითამაშოს იმ ქვეყანაში, რომლის ჩემპიონატშიც პორტო ალეგრეს „ინტერნასიონალის“ ღირსებას იცავს.

დიეგო ფორლანი მუნდიალისთვის 35 წლის იქნება. მანამდე კი გავეცნოთ ინტერვიუს, რომელიც ურუგვაელ ვარსკვლავს იორდანიასთან განმეორებით მატჩამდე ფიფას ოფიციალურმა გვერდმა ჩამოართვა. ინტერვიუმდე ფიფას ოფიციალური გვერდი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დიეგო მჭიდროდაა დაკავშირებული «სელესტესთან». მამამისი პაბლო ფორლანი ნაკრების ვარსკვლავი იყო; ასევე ურუგვაის ნაკრებში თამაშობდა პაპამისი ხუან კარლოს კორასოვო.

- ოჯახურ ტრადიციას აგრძელებთ. რა როლს ასრულებს ურუგვაის ნაკრები თქვენი ოჯახის ცხოვრებაში?

- როცა პატარა ვიყავი, ძალიან ვამაყობდი, რომ ასეთი ცნობილი პაპა და მამა მყავდა. ქუჩაში მესმოდა: „ნახეთ, ეს ფორლანის ბიჭია“ და ამის გამო ენით აუწერელ სიამაყეს ვგრძნობდი. ჩვენი ოჯახის სამი თაობა, ურუგვაის ნაკრებთან ერთად, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონები გავხდით. არა მგონია, მსოფლიოში სხვა ასეთი ოჯახი მოიძებნებოდეს ან ისტორიას ჰქონდეს შემონახული ცნობები. „სელესტე“ ჩემს სისხლსა და ხორცშია გამჯდარი და თუ ვაჟი მეყოლება, ტრადიციას მას გადავცემ.

- ფიქრობთ, რომ ამ ტრადიციამ თქვენს ცხოვრებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა?

- დიახ. ნათელი მაგალითია 2010 წლის მუნდიალი სამხრეთ აფრიკაში. როცა მასპინძლებთან თამაშისთვის ვემზადებოდით, ვიცოდით, რომ წითელი მაისურებით უნდა გვეთამაშა, წითელი ფერი კი ურუგვაის დროშაზე საერთოდ არ არის. ეს ბევრს არ მოსწონდა. ბევრი ფიქრის მერე სათანადო სტრუქტურას მივმართე და ვთხოვე, იქნებ წითელის ნაცვლად თეთრი მაისურებით ვითამაშოთ-მეთქი. ყველაფერი დადებითად გადაწყდა. ჩვენ მოვიგეთ, ხალხში კი თეთრი მაისურები (თეთრი ჩვენი დროშის ერთ-ერთი ფერია) კარგად გაიყიდა.

- კიდევ ერთხელ მოხდა, რომ ურუგვაის ნაკრებს გაუჭირდა მუნდიალზე მოხვედრა და ამისთვის ფლეი ოფში თამაშმა მოუწია. როგორ მოახერხა „სელესტემ“ 2010 წელს ასევე საკვალიფიკაციო ფლეი ოფიდან მუნდიალის ნახევარფინალში გასვლა და კიდევ უნდა ველოდოთ თუ არა მსგავს გმირობას?

- ურუგვაელებს საკვალიფიკაციო თამაშები სულ გვიჭირს, კონტინენტზე ძალიან რთული მეტოქეები არიან. თუმცა, ურუგვაელებს ვერ წარმოუდგენიათ „სელესტე“ მუნდიალის გარეშე. ამიტომ ბოლომდე ვიბრძვით. როცა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატმა უჩვენოდ ჩაიარა, ეს ნამდვილი ტრაგედია იყო. ვფიქრობ, იმ მარცხმა ნაკრებზე საბოლოოდ დადებითად იმოქმედა.

- თქვენ მუნდიალზე საუკეთესო ფეხბურთელი გახდით, როგორც ადრე რონალდო, რომარიო, მარადონა...

- ეს იყო დაუვიწყარი სიხარული. ხანდახან ახლაც კი არ მჯერა, რომ მე ეს შევძელი, ისტორიაში ჩავეწერე დიდ ფეხბურთელებთან ერთად. იმ წელს საოცარ ფორმაში ვიყავი, კარგად ვემზადებოდი, დამატებითაც ვვარჯიშობდი პირად მწვრთნელთან ერთად. მუნდიალამდე ესპანეთის თასის ფინალში ვითამაშე, მერე - უეფას თასის ფინალში და ამანაც ხელი შემიწყო.

აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ გუნდი 2007 წლის «კოპა ამერიკადან» მოდიოდა და შეთამაშებული იყო.

- მეოთხედფინალში ყველას ახსოვს, განელთა დარტყმულს როგორ გადაეღობა ხელით ლუის სუარესი. რას აკეთებდით იმ მომენტში და რას ფიქრობდით?

- სადღაც შუაში, მეტოქეებით გარშემორტყმული, ვფიქრობდი, როგორმე ვინმეს გამოეტანა ბურთი საშიში ზონიდან, მაგრამ ეს ვერ ხერხდებოდა და უცებ... ბუუმ და სუარესმა ბურთი ხელით მოიგერია. გავშეშდი. დამატებული დროა, კარში პენალტი დაინიშნა. გავცვივდით. უკვე შინ დაბრუნებაზე დავიწყე ფიქრი. საბედნიეროდ, ასამოა გიანის დარტყმული ხარიხას მოხვდა, კარს გადასცდა და მეც შვებით ამოვისუნთქე.

- ფორტუნა ხშირად თამაშობს როლს თქვენს კარიერაში?

- ურუგვაის ნაკრებს იშვიათად უმართლებს. ჩვენ არ ვგავართ ბრაზილიის ნაკრებს, რომელიც, რა თქმა უნდა, კარგად თამაშობს, მაგრამ ხშირად უმართლებს კიდეც. მათი დამარცხებისთვის 200%-იანი თავდადება გვჭირდება ხოლმე...